ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 19 აგვისტო 1998 №145 (680) ფასი 40 თეთრი

## ვლადიმერ გუცაევი: ჩვენ ყველგან მოსაგებად ვთამაშობთ ახალგაზრდებს შანსი მიეცათ

ახალგაზრდათა მატჩის დამთავრებას ხუთი წუთი აკლდა. აშკარა იყო. საყაიმო 1:1 აღარ შეიცვლებოდა. თამაშის შემყურე ქართველი ეროვნული გუნდი ტრიბუნიდან წამოიშალა და სავარჯიშოდ გაეშურა. მართლაც გულთბილმა დახვედრამ და ყურადღებამ ჩვენების ვარჯიშსაც დაატყო სასიკეთო კვალი ბიჭები უჩვეულოდ ხალისიანად ირჯებოდნენ. უხალისო არც აქ ერთობ პოპულარული ვლადიმერ გუცაევი ჩანდა, მაგრამ საქართველოს ნაკრების თავკაცს არც საფიქრალი აკლდა, რის თაობაზეც წვრთნის შემდეგ საუბრისას გაგვენდო...



ჯანაშიას თაობაზე გუცაევი ვიღას არ ელაპარაკა

**— როგორც შევიტყვეთ, პრობლემები დაგიგროვდათ.**

— მთავარი პრობლემა კახა ცხადაძის დაკარგვაა, რომელმაც „ფულემთან" მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო და ალბათ, კარგა ხნით ველარ დაგვეხმარება. კიევში კი არის, მაგრამ რადიკულიტი აწუხებს გოგა გახოკიძეს და უკრაინელებთან ვერც ის ითამაშებს. საზარდული აწუხებს შოთა არველაძესაც, რომელსაც გუშინ არ უვარჯიშია. მისი თამაშის საკითხი სადილამდე გადაწყდება. ამას გარდა, კიევში არ ჩამოსულა ზაზა ჯანაშია.

**— თუკი შოთა ვერ ითამაშებს, გამოდის, რომ თავდასხმა დაცვის მსგავსი იქნება.**

— არც მთლად ეგრეა. მართალია, ვისი იმედიც მქონდა, ესე იგი გამოცდილთაგან შეყილაძის გარდა, ვერავინ ითამაშებს, მაგრამ ახალგაზრდების მჯერა — დიდავა, კალაძე, წერეთელი, ცქიტიშვილი, სილაგაძე, რომელმაც უკვე ითამაშა ეროვნულის ძირითადში. თუ ეს ბიჭები გუშინდელ თეორიულ მეცადინეობაზე ჩემს ნათქვამს შეისმენენ და დავალებას ზუსტად შეასრულებენ, დაცვა ძლიერი გვეყოლება. ხომ გაგიგიათ, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჰოდა, ახალგაზრდებს შანსი მიეცათ, ვნახოთ, როგორ გამოიყენებენ. უკრაინასთან თამაში მათთვის სერიოზული გამოცდა იქნება. რაც შეეხება თავდასხმას, მათ ქინქლაძეს დავახმარ.

**— ყველა პრობლემის გათვალისწინებით, დღეს რას ელით?**

— საქართველოს ნაკრები ყველგან მოსაგებად თამაშობს. დღესაც მაქსიმუმს გავაკეთებთ. ალბანეთთან შესარჩევი მატჩიც მოახლოვდა და ბიჭებს სტიმული, ფსიქოლოგიური განწყობა სჭირდებათ. კარგი შედეგი, მით უმეტეს ასეთი პრობლემების დროს ფეხბურთელებზე ძლიერ იმოქმედებს.

**— პრობლემები პრობლემებად, მაგრამ სასიამოვნო არაფერია?**

— გუშინდელი ვარჯიშით კმაყოფილი დავრჩი. ბიჭები ხალისიანად იყვნენ. როგორც ხედავთ, ამინდიც კარგია, არ ცხელა. ჩვენ ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი და თუ ბიჭები გულიანად იბრძოლებენ, შედეგიც იქნება. არც გადახალისებული დაცვა ითამაშებს ცუდად და არც წინა ხაზები.

**— შუა ხაზში ბევრი ვარიანტის გამოძებნა შეიძლება.**

— დღეს, ალბათ, ორი საყრდენი ნახევარმცველით ვითამაშებთ — ნემსაძე და ჯამარაული. ფლანგებზე კი, მარჯვნივ შეიძლება ქეცბაია დავაყენოთ, მარცხნივ — კობიაშვილი.

**— ქინქლაძე უკან დახეული თავდამსხმელი იქნება?**

— ასეა. ქინქლაძე თავდამსხმელებსა და ნახევარმცველების შუა ითამაშებს, ცოტა გამთამაშებლობაც დაევალება. ჯამარაულს, კობიაშვილსა და ქეცბაიას შეტევა კარგად შეუძლიათ, რაც ჩვენი პოტენციის ნიშანია.

**— გავიგეთ, „გრასჰოპერს" ნემსაძე ტრანსფერზე დაუყენებია?**

— ერთმანეთთან საუბრისას გიორგის არ დაუმალავს, რომ როლფ ფრინგერთან პრობლემები შექმნია. მწვრთნელი მართალია უახლოეს მატჩებში ნემსაძეს ალბათ ათამაშებს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის, გიორგის მტკიცედ გადაუწყვეტია „გრასჰოპერის" დატოვება. ჩემი ბოლო ინფორმაციით მას საბერძნეთის „პაოკი" ეპატიჟებოდა, რომელსაც ოლეგ ბლოხინი წვრთნის, მაგრამ ნემსოს ბერძნული პირობები არ აკმაყოფილებდა და მათთვის უარი შეუთვლია.

**— ასეთი რა მოხდა?**

— რა ვიცი, ცოტა უცნაურიცაა. ნემსაძე „გრასჰოპერში" მუდამ ძირითადში იყო და კარგადაც თამაშობდა, მაგრამ, ეტყობა, მწვრთნელს ვერ გაუგო.

**— ასეთი პრობლემა თქვენ ნაკლებ გემუქრებათ. თუმცა, მაინც, ზაზა ჯანაშიას საქციელის შეფასებას გთხოვთ.**

— შექმნილ სიტუაციაში სანამ ბოლომდე გავერკვეოდე, არ მსურს მასზე რაიმე ცუდის თქმა. იქნებ ისე გამოვიდეს, რომ რასაც არ იმსახურებს, ის დავაბრალო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ერთია, ჩვენ გვქონდა საუბარი „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობასთან და გვითხრეს, რომ ჯანაშიას ხელის მძიმე მოტეხილობა აქვსო. 13-ში სიომინმაც დაადასტურა ეს ცნობა. 15 აგვისტოს კი, ზაზამ „შინიკის" წინააღმდეგ ითამაშა. თუმცა, „ლოკომოტივი" ადასტურებდა, რომ ჯანაშიას ტრავმა აქვს. ამის მერე ჩემს თანაშემწე ვლადიმერ პანოვს დავავალე ჯანაშიასთან პირადად ესაუბრა. ზაზამ პანოვს უთხრა, ხელს მართლაც ვერ ვამოძრავებო. არ გამოვრიცხავ, რომ ფეხბურთელმა ნატკენი ხელით ითამაშა და ტრავმა „შინიკთან" კიდევ უფრო გაიმიზეზა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ამ საქმეს გავარკვევთ და, თუ „ლოკომოტივმა" ყოველივე შეგნებულად გააკეთა, მოსკოვურ კლუბს უეფაში ვუჩივლებთ.

**— კარგით, ახლა ის თქვით, უკრაინელებზე ახალი რა იცით?**

— მთავარი ისაა, რომ ბოლოდროინდელი მარცხების შემდეგ უკრაინელებს (ნაკრების პოლონელებთან 1:2 და კიევის „დინამოს" „სპარტასთან" 0:1) გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია სურთ. მთელი აქაური პრესა დღევანდელ მატჩს დიდ ყურადღებას უთმობს, ჩვენი თამაში ცხარე ინტერესს იწვევს. გარდა ამისა, დახმარებას გვიწევს კახი კალაძე — ინფორმაციებს გვაწვდის უკრაინის ნაკრების შესახებ, რომელიც ფაქტობრივად კიევის „დინამოა", კალაძის გარდა.

**— ალბანელებთან ოფიციალურ თამაშამდე უკრაინელებთან გაჭიბრება ჩვენთვის ბოლო რეპეტიცია იქნება.**

— თუ დღევანდელმა შემადგენლობამ გაამართლა და შედეგს მივაღწიეთ, ალბანელებთანაც ალბათ ეს შემადგენლობა იქნება. ერთი-ორი ცვლილება შეიძლება ყოველთვის მოხდეს, ეგებ შოთამ უკრაინასთან ვერ ითამაშოს და 5 სექტემბრისთვის გამოჯანმრთელდეს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის, უკრაინასთან გამარჯვების შემთხვევაში შემადგენლობა თუ შეიცვლება, როგორც გითხარით, მხოლოდ ერთი-ორი კაცით.



ვახტანგ ბზიქაძე

კიევიდან

უკრაინისა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩის რეპორტაჟი იხილეთ მეორე გვერდზე




10 000 მეტრზე რბენა. ჩემპიონი პინტუ (№ 1011) და პრიზიორები: ბაუმანი და ფრანკე

## გაგაჩი ვეღარ გაძარცვეს ქართველებიც გავიქეცით და...

BUDAPEST '98

გუშინ უნგრეთში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ევროპის მე-17 ჩემპიონატი მძლეოსნობაში.

ბუდაპეშტის ცენტრალურ სტადიონზე რალაც მასშტაბური არაფერი გამართულა, რადგან პირველობა სულ ექვს დღეს გასტანს და ამ პერიოდში ორგანიზატორებმა მედლების გათამაშება 46 სახეობაში უნდა მოასწრონ. ამიტომაც სპორტსმენები დილიდანვე ჩაებნენ ბრძოლებში და უნდა ითქვას, რომ ასპარეზობის საცქერად შეკრებილ მაყურებელს მოწყენის საშუალება არ მისცეს.

ჩემპიონატის პირველ დღეს მედლების სამი კომპლექტი გათამაშდა ვაჟებს შორის — 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში, 10 ათას მეტრზე სირბილსა და ბირთვის კვრაში, თუმცა სანამ ამ სახეობების განხილვაზე გადავიდოდეთ და გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გაგაცნობდეთ, ორიოდე სიტყვით ჩვენს მძლეოსნებზე ვთქვათ.

მოგეხსენებათ, უნგრეთში საქართველოს სახელით ორი მორბენალი — რუსლან რუსიძე და თამარ შანიძე გამოდიოდა. ორივეს პირველივე დღეს მოუხდა ასპარეზობაში ჩართვა და ჩვენდა სამწუხაროდ, წარმატებას ვერც ერთმა მიაღწია. რა თქმა უნდა, ქართველებისგან ჩემპიონატზე ციდან ვარსკვლავების ჩამოკრეფას და საპრიზო სამეულში მოხვედრას არც არავინ მოელოდა, მაგრამ რუსიძისა და შანიძის სირბილი, მეტი რომ არ ვთქვათ, უკეთესის სურვილს ტოვებდა.

ჩვენი ქალის რა მოგახსენოთ, აი, რუსიძის იმედი ქართული მძლეოსნობის ქომაგებს უფრო ჰქონდათ. რუსლანს ხომ საერთაშორისო ტურნირზე ასპარეზობის გამოცდილება აქვს და სწორედ ეს გვაფიქრებინებდა, რომ იგი საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევას მაინც შეძლებდა. თუმცა...

იხილეთ მერვე გვერდი

## არგენტინაში ორხელისუფლებიანობაა

არგენტინის ნაკრებს ახალი თავკაცი ჰყავს, უფრო სწორად, თავკაცები — ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ხოსე პეკერმანი და ბარსელონას „ესპანიოლის" ახალდანიშნული დამრიგებელი მარსელო ბიელსა. ამ უკანასკნელის გაშვება ესპანურ კლუბს არა და არ სურდა, მაგრამ მის ხელმძღვანელობას არგენტინის ფეხბურთის ასოციაციიდან (AFA) დაუკავშირდნენ და საბოლოოდ შეთანხმდნენ. ბიელსა ესპანურ მხარეს დაპირდა, რომ უკან დააბრუნებს იმ თანხას, რაც მან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ხელფასის სახით მიიღო. ხელშეკრულება კი ორი თვის წინ გაფორმდა.

ხოსე პეკერმანი აქამდე არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებს ედგა სათავეში და მასთან ერთად ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. სწორედ მისი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ სთხოვა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ ბიელსას, რათა მას პეკერმანთან ერთად ეხელმძღვანელა გუნდისთვის. — ბიელსასთან დაკავშირებით თავიდან პრობლემები შეიქმნა, მან ხომ სულ ახლახან მოაწერა ხელი „ესპანიოლთან" კონტრაქტს, მაგრამ პეკერმანმა მითხრა, ჩვენ მაინც უნდა ვცადოთო — თქვა გრონდონამ.

მარსელო ბიელსას პროფესიული საფეხბურთო კარიერა მეტად ხანმოკლე იყო — მხოლოდ ოთხი შეხვედრა არგენტინის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ნეველს ოლდ ბოიზში". მან სახელი უფრო მწვრთნელად მუშაობისას გაითქვა — ჯერ თავისი ყოფილი კლუბი გახადა ქვეყნის ჩემპიონი, თანაც ზედიზედ სამჯერ 1990-91 და 1992 წლების სეზონებში, შარშან კი „ველეს სარსფილდი" გახადა ჩემპიონი.

არგენტინაში ნაკრების მთავარ მწვრთნელად ერთბაშად ორი კაცის დანიშვნას სხვადასხვაგვარად შეხვდნენ. ქვეყნის საფეხბურთო წრეებსა და პრესაში ასეთი გადაწყვეტილება მისაღებად ჩათვალეს, თუმცა არსებობენ გამონაკლისებიც: „ვერ გამიგია, რა აზრი დევს ამ არჩევანში. ნაკრების სათავეში ორი მწვრთნელის ყოლა იგივეა, გუნდს საერთოდ არ ჰყავდეს თავკაცი" — ეს ლუის სესარ მენოტის სიტყვებია, კაცისა, რომელმაც არგენტინის ნაკრები 1978 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახადა.

მოკლედ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ არგენტინელებს ამიერიდან ორი მწვრთნელი ეყოლებათ, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა, თუ არ ჩავთვლით 1982 წლის მსოფლიოს პირველობაზე მოასპარეზე საბჭოთა კავშირის ნაკრებს, როდესაც მას ერთბაშად სამნი — კონსტანტინ ბესკოვი, ნოდარ ახალკაცი და ვალერი ლობანოვსკი წვრთნიდნენ.

**ესპანეთი**

სუპერთასი

**მალიორკა 2:1 ბარსელონა**

0:1 ქსავი (15), 1:1 დანი (57), 2:1 სტანკოვიჩი (80)

ამხანაგური მატჩი

**პოლონეთი 2:0 ისრაელი**

1:0 ტრჟესიაკი (24), 2:0 სიადაჩკა (71)




რუსლან რუსიძეს და თამარ შანიძეს ისღა დარჩენიათ, ერთმანეთი ანუგეშონ

**ამხანაგური მატჩი**
**ახალგაზრდული ნაკრებები**

კიევი
18 აგვისტო
„დინამო“

**უკრაინა 1:1 საქართველო**

0:1 დარასელია (32), 1:1 კოლჩინი (73)

**უკრაინა:** პერხუნი (ოსტაპენკო), ოლექსეენკო (სტადნენკო), სიზონი (პერშენი), ნაზაროვი (ზალიცკი), მიტროფანოვი, კოტოვი, ონიშჩენკო (ჩერინიაკი), ვორობეი (კოლჩინი), ზუბოვი (დრანოვი), კოსირინი, ვენგლინსკი

**საქართველო:** სოლოლაშვილი, რევაზიშვილი, ჭანკოტაძე, დავითნიძე, მუჯირი (გ. ყიფიანი), გემეზაშვილი (შენგელია), კვარაცხელია, ალექსიძე, დარასელია (მელქაძე), აშვეთია, ჯაკობია (მენთეშაშვილი)

**გაფრთხილება:** ჩხეტიანი, მუჯირი

# ახალგაზრდებმა არ იცხუნეს



კვიცი გვარზე: ვიტალი დარასელიამ ხალხი აალაპარაკა

უკრაინისა და საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრები ყაიმით დაიწყო. ახალგაზრდებმა თითო-თითო ბურთი გაიტანეს და მშვიდობიანად დასცილდნენ ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეროვნულ ნაკრებთა მატჩი უნდა გაიმართოს, მაყურებელი არც ახალგაზრდათა მატჩს აკლდა. ბუნებრივია, უკრაინელებს შინაური კედლებიც აგულიანებდა, თანაც სტადიონზე შეკრებილნიც მხურვალედ ქომაგობდნენ თავისიანებს, მაგრამ, ეტყობა, ჩვენი ახალგაზრდები ნელ-ნელა ეჩვევიან გარეშე ფაქტორებთან ბრძოლას, რაც ამ მატჩმაც დაადასტურა.

გუნდებმა თამაში საკმაოდ ფრთხილად დაიწყეს, თუმცა მოედნის ცენტრისთვის ბრძოლა თანდათან გაფიცხდა. ქართველებმა საკმაოდ მალე იგდეს ხელთ უპირატესობა და სახიფათოდაც შეუტიეს მეტოქის კარს. ვერ ვიტყვით, უკრაინელთა კართან საგოლე მომენტებს თვლა არ ჰქონდაო, მაგრამ ჩვენებმა მასპინძელთა დაცვა საგრძნობლად შეავიწროვეს. პირველი რეალური საგოლე მომენტი უკრაინელთა კართან 22-ე წუთზე შეიქმნა: ლაშა ჯაკობია პირისპირ გავიდა მეკარე პერხუნთან, მას ხელს არავინ უშლიდა და თითქოს გოლიც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ლაშამ ვერ შეძლო მეკარის მოტყუება, ვერც კარში დაარტყა და ხელსაყრელი მომენტიც გაუცუდდა. ამ შეტევის შემდეგ საქართველოს ნაკრები უფრო გააქტიურდა, განსაკუთრებით მწვავედ მოქმედებდა დარასელია-მუჯირი-აშვეთიას ტრიო, რომელიც მრავალ თავსატეხს უჩენდა მეტოქის მცველებსა და მეკარეს. ყოველივე ამან შედეგი 32-ე წუთზე გამოიღო: მიხეილ აშვეთია მარჯვენა ფლანგზე დაუსხლტა მეტოქეს და საჯარიმოში ჩააწოდა, ბურთთან პირველი ვიტალი დარასელია გაჩნდა და... უკრაინელებმა ცენტრიდან დაიწყეს. ტაიმის ბოლომდე განსაკუთრებით საინტერესო სხვა არაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე კი საიჩინო გახდა საქართველოს ნაკრების ხარვეზი და უკრაინელთა ღირსება — ფიზიკური მომზადება. მასპინძლებმა ტემპს, ჩვენმა ჭაბუკებმა კი შეცდომებს უმატეს. განსაკუთრებით მცველები სცოდავდნენ — ისინი ძალიან ხშირად ვეღარ ასწრებდნენ თავისუფალი ზონების გაკონტროლებას, რითაც კარგად სარგებლობდნენ მასპინძლები. დაღლა, თანაც აშკარად, დაეტყო ნახევარდაცვასაც, რომელიც ვეღარ ახერხებდა მცველთა და შემტევთა შეკავშირებას. მართალია, უკრაინელები განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდნენ, მაგრამ მათ უპირატესობას უკვე აშკარა ეთქმოდა. საქართველოს ნაკრების შეტევები მეტწილად ცალკეულ მოთამაშეთა ინდივიდუალურ მოქმედებას ეფუძნებოდა და აკი მეტოქეც ადვილად უმკლავდებოდა. ამასთან, მასპინძლებმა მეორე ართულზეც გაილაღეს, თანაც ტანმაღალი უკრაინელი მცველები სულ უფრო ხშირად ერთვებოდნენ იერიშებში. 73-ე წუთზე მასპინძლებმა კუთხური ჩამოაწოდეს და შეცვლაზე შესულმა კოლჩინმა ზუსტი თავურით ანგარიში გაათანაბრა. ამის მერე ტემპი შენელდა, ჟინი — ჩაცხრა, თამაშიც ნაკლებად საინტერესო გახდა და საბოლოოდ ფრედაც, 1:1 დასრულდა.

მატჩის შემდეგ ყველამ, უკრაინელმა ჟურნალისტებმაც და ფეხბურთის გულშემატკივრებმაც ჩვენს ბიჭებს ტექნიკა შეუქო. განსაკუთრებით ჩვენების კაპიტანი დავით მუჯირი და მიხეილ აშვეთია გამოარჩიეს, კიევის ცსკა-ში მოთამაშე ვიტალი დარასელია კი ერთხმად აღიარეს მატჩის საუკეთესო მოთამაშედ. აქაური კოლეგები ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ უკრაინაში ჩამოსვლის შემდეგ დარასელია დღითიდღე უმატებს და მალე მისი სახით საქართველოს ნაკრებს ჩინებული ფეხბრთელი ეყოლება. კვიცი ხომ გვარზე ხტისო...

პრესკონფერენციაზე გუნდების მწვრთნელებმაც, ჩვენგან გაბელიამ, მასპინძელთაგან კოლოტოვმა აღნიშნეს, რომ ეს შედეგი დიდად განაპირობა ქართველ ფეხბურთელთა ჩვეულმა ნაკლმა — სუსტმა ფიზიკურმა მომზადებამ. ორივემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს მატჩი მაინც სასელექციო იყო და არ ღირს, მის შედეგს დიდი ყურადღება მიექცესო.

დასასრულს დავძენთ, რომ შეხვედრა იყო ერთობ მეგობრული და ამასთან საკმაოდ საინტერესო. იმედია, დღევანდელი მატჩიც ასეთი იქნება. დღეს, თბილისის დროით 8 საათზე ერთმანეთს წარუდგებიან უკრაინისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებები.

# უკრაინელები კბილებს ილესავენ ჩვენზე კი არა, რუსებზე

დღეს უკრაინა დიდ ფეხბურთს ელის. საქმეში ჩახედული გულშემატკივრისთვის კარგად არის ცნობილი, რას ნიშნავს ფეხბურთი უკრაინელთათვის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ნაკრები თამაშობს. ეს დღე ჩვენთვის, ქართველთათვისაც მეტად საყურადღებოა, რადგან სლავების წინააღმდეგ სწორედ ჩვენი ნაკრები წარდგება. ორივე გუნდი ამ ამხანაგურ მატჩს ევროპის 2000 წლის პირველობის შესარჩევი ციკლისთვის მზადების კონტექსტში განიხილავს. გარდა ამისა, ამ მატჩს სხვა დატვირთვაც გააჩნია. კერძოდ ის, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების შემდეგ უკრაინის და საქართველოს უძლიერეს ფეხბურთელებს ერთმანეთთან არ უთამაშიათ. ტრადიციულ მეტოქეთა პრინციპული შეხვედრა კი, თავადაც მოგეხსენებათ...

სიმართლე რომ გითხრათ, ამ შეხვედრის მიმართ მასპინძელთა ინტერესი შეიძლება ბევრად მეტი ყოფილიყო, რომ არა კარს მომდგარი 5 სექტემბერი, დღე, როდესაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უკრაინის და რუსეთის ეროვნული ნაკრებები შეერკინებიან. ამ შეხვედრისადმი ინტერესმა ყოველგვარ მოსალოდნელ ინტერესს გადააჭარბა და არაჯანსაღ ატმოსფეროშიც კი გადაიზარდა. მაგრამ ამაზე მერე იყოს... არა, ისე არ გაიგოთ, თითქოს ჩვენი ნაკრების ვიზიტი მთლად შეუმჩნეველი დარჩა. პირიქით, ინტერესი საკმაოდ დიდია და კიევში მატჩისთვის მზადებაც გეგმაზომიერად მიმდინარეობს.

რამდენიმე დღის წინ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, ვიქტორ ბანიკოვმა პრესკონფერენცია მოაწყო და ჟურნალისტებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ნაკრების მზადების შესახებ მოუთხრო. იმ პრესკონფერენციაზე, რომელსაც მეც ვესწრებოდი, ბანიკოვმა განაცხადა, რომ საქართველოსთან ამხანაგურ მატჩს უკრაინელთათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი რუსეთთან მატჩის წინ იმართება და ამ შეხვედრაში გადამეტებული ექსპერიტმენტები გამორიცხულია.

— ამ მატჩს სრული ძალით და შემართებით ჩავატარებთ და გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, რადგან ფეხბურთელების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეს უბრალოდ აუცილებელია — თქვა ბანიკოვმა.

ამავე აზრს იზიარებს უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოჟეფ საბოც, რომელიც შიშობს, რომ პოლონეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში არადინამოელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრების მარცხმა მოთამაშეებზე არცთუ სახარბიელო გავლენა იქონია. ახლა კი ამას თავად კიევის დინამოს წაგებებიც დაემატა ჩეხეთის „სპარტასთან“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“, არადა, „დინამოს“ შემადგენლობიდან ნაკრებში 12 ფეხბურთელი თამაშობს.

— მსგავს სიტუაციაში ჩვენ ბრძოლა გვჭირდება, ბრძოლა მხოლოდ გამარჯვებისთვის, რათა 5 სექტემბერს ამაღლებული გუნება-განწყობილებით შევხვდეთ — აღნიშნავს საბო.

ამავე დროს იოჟეფ საბო კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართველებთან მატჩი უეჭველად მეგობრულ ატმოსფეროში ჩაივლის, რაც შემდგომი ოფიციალური შეხვედრებისთვის მომზადების ჩინებული წინაპირობაა.

ჩვეულებრისამებრ, უფრო თავშეკავებულია ვალერი ლობანოვსკი, რომელიც უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილებით ამჟამად უკრაინის ყველა ნაკრების უფროსი (და არა მთავარი) მწვრთნელია და ამგვარად, მწვრთნელთა საბჭოს ერთგვარ თავმჯდომარედ გვევლინება. თუმცა, ისიც აცხადებს, რომ ამ შეხვედრას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი გუნდისთვის. ხოლო „რაბოჩაია გაზეტას“ კორესპონდენტის მიერ დასმულ კითხვაზე, ხომ არ ჯობდა რუსეთთან ესოდენ საპასუხისმგებლო მატჩის წინ უფრო ძლიერი პარტნიორი შეგვერჩიაო, ვალერი ვასილიჩმა ჩვეული თავდაჭერილობით და სიმშვიდით უპასუხა, საქართველოს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, რაზეც მათი შედეგები და ფეხბურთელთა მიერ გაფორმებული პრესტიჟული კონტრაქტებიც მეტყველებსო.

შეხვედრისთვის მონდომებით ემზადებიან უკრაინელი ფეხბურთელებიც. სამწუხაროდ, არ მომეცა საშუალება, ისინი უშუალოდ მატჩის წინა დღეებში მეხილა, მაგრამ მანამდე შევჩენკო, რებროვი, კალიტვინცევი და მათი სხვა თანაგუნდელები ერთხმად აღნიშნავდნენ ქართული ფეხბურთის მაღალ დონეს და ამბობდნენ, 19 აგვისტოს საკმაოდ რთული მატჩი გველისო.

ასე რომ, ალბათ, არ გამართლდება ჩვენი პესიმისტების ვარაუდი, შეხვედრა „ზედმეტად ძმურ“ ატმოსფეროში ჩაივლის და აუცილებლად ფრედ დამთავრდებაო.

ბუნებრივია, გვერდს ვერც გულშემატკივრებს ავუვლით, რომლებიც ასევე მოუთმენლად ელიან დღევანდელ მატჩს. ყველას, ვისთანაც საუბარმა მომიწია, აინტერესებს, რატომ არის ჯამარაული უკლუბოდ, როგორ შეეწყო ქინქლაძე „აიაქსს“, ხომ არ აპირებს შოთა არველაძე სხვა გუნდში გადასვლას, ითამაშა თუ არა უკვე გახოკიძემ „ეინდჰოვენში“ და ასე შემდეგ. აი, ასე! ჩემდა გასაკვირად, რიგითი კიეველი გულშემატკივრები საკმაოდ კარგად გათვითცნობიერებულნი აღმოჩნდნენ ჩვენი ფეხბურთის ამბებში. მაგრამ მაინც, ყოველი მათგანი უდიდესი ინტერესით ელის, თუ როგორ ითამაშებს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში კახი კალაძე და ეს ბუნებრივიცაა, რადგან კალაძე საკმაოდ მცირე დროში კიეველთა ერთ-ერთ საყვარელ მოთამაშედ იქცა და მას პატივითაც მოიხსენიებენ — „ნაშა პალოჩკა-ვირუჩალოჩკა“.

როგორც ამბობენ, შეხვედრაზე დასწრებას აპირებს უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა. გარდა ამისა, რუსეთიდან ელიან ანატოლი ბიშოვეცს ან მის საგანგებო წარმომადგენელს, რომელიც ყურადღებით ადევნებს თვალს მომავალი მეტოქის მატჩს და მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის ორგანიზატორები ანშლაგს ელიან, ზემოთ ჩამოთვლილ ბატონებს ადგილები ნამდვილად გარანტირებული ექნებათ.

ერთი სიტყვით, ყველანი სრულ მზადყოფნაში არიან და ერთადერთი, რამაც შეიძლება ოდნავ გააფერმკთალოს მატჩი, ეს ახლახან უკრაინის ერთ-ერთ მაღაროში მომხდარი მორიგი კატასტროფაა, რომელმაც ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა, თუმცა დაღუპულთა რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია.

უკრაინის ნაკრების მწვრთნელებმა საბოლოოდ ჩამოაყალიბეს ნაკრების შემადგენლობა, რომელიც საქართველოსთან ითამაშებს. 5 სექტემბერს რუსების წინააღმდეგ მატჩისთვისაც ზუსტად ეს ფეხბურთელები მოემზადებიან:

**მეკარეები:** *ალექსანდრ შოვკოვსკი („დინამო“), ვალერი ვორობიოვი („ტორპედო“, რუსეთი).*

**მცველები:** *ოლეგ ლუჟნი, ვლადისლავ ვაშჩუკი, ალექსანდრ გოლოვკო („დინამო“), ვლადიმერ მიკიტინი, ვლადიმერ ეზერსკი („კარპატი“), მიხეილ სტაროსტიაკი („შახტიორი“), ვიქტორ სკრიპნიკი („ვერდერი“, გერმანია), იური ვერნიდუბი („ზენიტი“, რუსეთი).*

**ნახევარმცველები:** *იური კალიტვინცევი, ანდრეი გუსინი, ვიტალი კოსოვსკი, დიმიტრი მიხაილენკო („დინამო“), სერგეი კოვალიოვი („შახტიორი“), ალექსანდრ ევტუშოკი („კარპატი“), რომან მაქსიმიუკი („ზენიტი“, რუსეთი).*

**თავდამსხმელები:** *ანდრეი შევჩენკო, სერგეი რებროვი, სერგეი კონოვალოვი („დინამო“), სერგეი სკაჩენკო („ტორპედო“, რუსეთი).*

**ირაკლი სირაძე**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“**
**კიევიდან**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

# 17 წელი გასულა

**გუცაევი უკრაინელებს ევროპის თასს დაპირდა**



ფოტო რეზო ცერცვაძის არქივიდან

ეს ფოტო 1981 წლის 28 მაისსაა გადაღებული. ორი კვირის წინ თასების თასს დაპატრონებული თბილისის „დინამო“ კიეველ, როგორც იმხნად ამბობდნენ ხოლმე, თანაკლუბელებს ესტუმრა საკავშირო ჩემპიონატის მატჩის სათამაშოდ. რა თქმა უნდა, იყო გულთბილი დახვედრა, მილოცვები და ფოტოზეც სწორედ ის მომენტია აღბეჭდილი, კიეველთა თავკაცი თბილისელთა ფორვარდ ვლადიმერ გუცაევს რომ ულოცავს. დღეს, 17 წლის შემდეგ ისინი კოლეგების, ეროვნულ გუნდთა მწვრთნელების რანგში ხვდებიან ერთმანეთს. გუშინ, საქართველოს ნაკრების ვარჯიშისას უკრაინელი გულშემატკივრები შანსს არ უშვებდნენ ხელიდან, გუცაევთან ერთად სურათი არ გადაეღოთ და თან ის დღე არ გაეხსენებინათ. ბატონმა ვოვამ კი, ცხადია, ხუმრობით, მაგრამ ერთობ გაბედულად უპასუხა უკრაინელ ქომაგთ, რაღა დროს ის თასია, აი, 2000 წელს ევროპის თასს რომ მოვიგებთ, მაშინაც გეწვევით ახალი თასით ხელდამშვენებულნიო.

# არასტუმართმოყვარენი

საქართველოს 10 ჩემპიონატი 2 ტური

მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ძირითად ინტრიგას ორი იმერული მატჩი — „ტორპედო“ — „კოლხეთი“ და „იბერია“ — „ბათუმი“ მატებდა. თუკი მარადი მეტოქეების, ქუთათურებისა და კოლხების შეხვედრაში უდავო ფავორიტად მასპინძლები ითვლებოდნენ, ამბიციამოჭარბებულმა სამტრედიელებმა ჯერაც უნდა დაამტკიცონ, რა ძალუძთ და რას უნდა ველოდოთ მათგან.

ქუთაისურმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რაოდენ დიდი ზღვარი დევს „კოლხეთის“ შარშანდელ და წლევანდელ სიძლიერეს შორის. აშკარად ფორმადაკარგულ ფოთელებს ძნელი დროება უდგათ. ვეტერანი ფეხბურთელების წასვლამ უარესად არია გუნდის საქმე და ასე გვგონია, წელს პრიზიორთა სამეულში მოხვედრა კოლხებს აშკარად გაუჭირდებათ. ქუთათურთ რაც შეეხებათ, მათ მეტად ეფექტური და ნაყოფიერი სასელექციო მუშაობა გასწიეს სეზონის წინ და უკვე ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, „ტორპედო“ ერთი თავით მაღლა დგას სხვა გუნდებზე და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „დინამოს“ მთავარ პრობლემასაც ის შეუქმნის. იმ მატჩზე კი, რომელიც 5:1 მთავრდება, ბევრს ვერას იტყვი კაცი, იმერლებმა ბდღვერი და ბუქი ადინეს კოლხებს.

სამტრედიაში „იბერიამ“ პირველი მატჩი ითამაშა წლევანდელ სეზონში და, რასაკვირველია, ზუგდიდური მატჩის შემდეგ საკუთარ გულშემატკივართა გაწბილება არ სურდა. ასეც მოხდა და იმერლებმა მოახერხეს მშრალზე დაესვათ ქვეყნის თასისა და სუპერთასის მფლობელი. კი იყო მატჩში მონაკვეთები, როცა „ბათუმი“ მეტოქის საჯარიმოს არ მოსცილებია, მაგრამ მასპინძლებმა შეძლეს თავის დაცვა, სასურველ ტემპში გადაიყვანეს შეხვედრა და ბოლოს გიორგი დარასელიამ ჩვეულ სტილში, ლამის ბურთიანად შევიდა რა კარში, ლამაზი წერტილიც დაუსვა შეხვედრას. ამ გამარჯვებით „იბერია“, „ტორპედოსთან“ და „დინამოსთან“ ერთად პირველ-მესამე ადგილებზე ალზევდა, „ბათუმი“ კი პირიქით, კარგა ხანია, ასე დაბლა არ ყოფილა სატურნირო ცხრილში. სტარტზე ორიდან ორი მარცხი ნამდვილად საგანგაშო შედეგია შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორისთვის.

„ლოკომოტივი“ — „ოდიშის“ თამაშის უცილო ფავორიტად თბილისელი რკინიგზელები ითვლებოდნენ. მათაც მოლოდინი გაამართლეს და პირველი ტაიმის შუაგულში ორიოდე წუთში ხელი მოუთავეს მეტოქეს. როგორც წინა ტურის შეხვედრაში, აქაც თბილისელთა რიგებში ძირითადად გორელმა „ლეგიონერებმა“ გამოიჩინეს თავი და ლომის წილიც დაიდეს დიდი ანგარიშით გამარჯვებაში. „ოდიშის“ შესახებ კი იმას ვიტყვით, რომ ზუგდიდელები შემადგენლობით თითქოს არც ისე უიმედო გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ, აი, მათი თამაში კი აშკარად აუტსაიდერის დონისაა.

ჩემპიონატის დასაწყისში ერთ-ერთი მთავარი სენსაციის შემოქმედებმა, „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებმა ერთხელაც დაამტკიცეს, რომ არავისთვის წარმოადგენენ ხელწამოსაკრავ ძალას. თბილისის „არსენალი“ ჩემპიონატის ერთ-ერთი მაძღარი გუნდია (მას ხომ არმია პატრონობს) და შემადგენლობაც ნორმალური ჰყავს. მეიარაღეებმა მთელი თამაში შეტევაში გაატარეს, თუმცა ხელშესახებს ვერაფერს მიაღწიეს და ვერც შედეგი მიიღეს სასურველი. მორიგი გასვლითი შეხვედრის წარმატებით დამთავრებამ „ვიტ ჯორჯიას“ საშუალება მისცა, კიდევ გაეზარდა თავისი ქულათა აქტივი და ნათელია, იგი, სხვა თუ არაფერი, საშუალო გუნდების წევრობაზე აცხადებს თამამ პრეტენზიას და მასთან თამაშს არავინ უნდა მოეკიდოს ზერელედ. ვეტერინარებს ერთიც გამოარჩევთ, მათ კარგად იციან, თავი როგორ დაიცვან.

ქვეყნის უცვლელმა ჩემპიონმა მორიგ თანაქალაქელ გუნდს ააძრო სკალპი, თანაც იგივე სცენარით, როგორც პირველ ტურში. „მერანმა“ მხოლოდ ოციოდე წუთი თუ გაუძლო მეტოქეს, მერე კი დანებდა და ძირითადად საკუთარი კარის ბადიდან ბურთების გამოტანით იყო დაკავებული. სეზონის წინ ისე ჩანდა, თითქოს „დინამო“ ძველებურად ველარ გაისეირნებდა მეათე ეროვნულში, მაგრამ, როგორც სეზონის დასაწყისი გვიჩვენებს, „დინამომ“ შარშანდელზე გაცილებით იოლად უნდა მიაღწიოს ჩემპიონობას. არ შეიძლება არ აღინიშნოს გუნდის ნახევარდაცვის მობილური თამაში და შემტევი წყვილი ხომერიკი-აშვეთიაც არაერთ თავსატეხს უჩენენ მოწინააღმდეგეთ.

გაიოზ დარსაძემ ერთხელაც დაამტკიცა თავისი, როგორც მწვრთნელის სიძლიერე და „სამგურალმა“ სამი ქულა აიღო რუსთავის „გორდასთან“ მატჩში. ამ შეხვედრაში ორი განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ — თუ პირველში წყალტუბოელებმა აშკარად დაჩაგრეს მოწინააღმდეგე, მეორეში შეგნებულად დათმეს ტერიტორიული უპირატესობა და ძირითადად ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს თამაში. მართალია, მასპინძლებმა მოგებას საეჭვო პენალტით მიაღწიეს, მაგრამ ასეა თუ ისე, გაიმარჯვეს და უნდა ვაღიაროთ, რომ „სამგურალი“ ის გუნდია, ვინც ყველაზე უკეთ ასრულებს მწვრთნელის მითითებას.

სადაც არ უნდა წავიდეს ჯონი ჯანელიძე, მის კოლექტივს ყოველთვის ბრძოლისუნარიანობა გამოარჩევს ხოლმე. „გურიას“ რაც შეეხება, მართალია სეზონისწინა მზადების პროგრამა ჩაუვარდათ გურულებს, მაგრამ მაინც ჩინებული სტარტი აიღეს და რომ არა მოედნის გარეთა მოვლენები ბოლნისში, ახლა მათ აქტივში ორი გამარჯვება იქნებოდა. უნივერსიტეტელებთან შეხვედრა ძირითადად გურულების უპირატესობით წარიმართა, ერთხელ შტურმიც კი მოაწყვეს ლანჩხუთელებმა და მატჩის მიწურულს ორი უპასუხო გოლიც გაუტანეს სტუდენტებს. „გურიას“ კარგი სტარტი ყოფილი კოლხების მერანელებისა და რუსთაველი მელაძის ძლიერმა თამაშმაც განაპირობა.

ტურის მერვე მატჩი გორში გაიმართა. ადგილობრივმა „დილამ“ შარშან გავარდნას ძლივს გადარჩენილი „სიონი“ დაამარცხა. საშუალო ასაკის მიხედვით „დილა“ ერთ-ერთი ახალგაზრდაა პირველ ჯგუფში. მიუხედავად ამისა, გორელები სულაც არ ტოვებენ უმწიფარი გუნდის შთაბეჭდილებას. ისინი მთელი პირველი და ნაწილობრივ მეორე ტაიმიც, გამუდმებით უტევდნენ და კაიდარაშვილ-თაყაძის წყვილის მეოხებით გამარჯვებას მიაღწიეს. „სიონი“ თავის მხრივ კი ცდილობდა, გორელთათვის რაიმეთი ეპასუხა, მაგრამ მასპინძელთა დაცვა საიმედოდ გაისარჯა და ერთი-ორი გამონაკლისის გარდა მდივანამდე არც კი მიუღწევია ბურთს.

მეათე ეროვნულის პირველმა ორმა ტურმა დაგვანახა, რომ გუნდების დონე ასე თუ ისე თანაბარია. თუ არ ჩავთვლით „დინამოსა“ და „ტორპედოს“ (ალბათ, ბათუმიც“ არ უნდა დავივიწყოთ), პირველ ჯგუფში მოთამაშე კლუბებს შორის არ ჩანს აშკარად გამოკვეთილი აუტსაიდერი და უეჭველად არაერთი დაძაბული შეხვედრის მომსწრენი გავხდებით. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაც ერთობ დაძაბული იქნება.

არ შეიძლება, არ გამოვყოთ ცალკეული ფეხბურთელების მშვენიერი გარჯაც, ხოლო ქუთაისელი პაატა ჯინჭარაძე თავისუფლად შეიძლება მეათე ეროვნულის უმთავრეს აღმოჩენად ვაღიაროთ. იმასაც ვფიქრობთ, ამ ბიჭს დიდხანს არ დააგვიანდება და, ალბათ, მალე ნაკრებშიც გამოსცდიან.

თუ პირველი ტური აშკარად სტუმართა უპირატესობით ჩატარდა, მეორეში მასპინძლებმა იავარყვეს მეტოქეები და რვიდან შვიდი შეხვედრა მოიგეს (ამათგან სამი დიდი ანგარიშით). უცნაურია, მაგრამ 5:1 ჯერჯერობით ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ანგარიშად რჩება ჩვენეულ ჩემპიონატში (ამ უცნაურობას ისევ „დინამოსა“ და „ტორპედოს“ სხვებთან შედარებით მაღალი კლასი განაპირობებს). ტურში სულ 24 ბურთი გავიდა (ექვსით მეტი, ვიდრე წინაში) და საშუალო შედეგიანობაც (3,0 თამაშში) ნორმალურ კატეგორიას მიეკუთვნება.

სასიხარულოა ისიც, რომ აშკარად ნაკლები ფეხბურთელები გააფრთხილეს მსაჯებმა და რომ არა გურულების მცირედი გულისწყრომა, არც მსაჯთათვის ექნებოდა ვინმეს სასაყვედურო. წინა ტურთან შედარებით მაყურებელთა რიცხვმაც იმატა და ეს უდავოდ მისასალმებელი ფაქტია.

მეათე ეროვნულის მეორე ტურმა მთლიანობაში არ დატოვა ურიგო შთაბეჭდილება, თამაშები ძირითადად დაძაბულ, მძაფრ ბრძოლებში ჩატარდა და იმედია, არც მომავალი გვიმტყუნებს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

თბილისი
14 აგვისტო
18 საათი
ისანი
2000 (ტევადობა 5 000)

### არსენალი 0:0 ვიტ ჯორჯია

**არსენალი:** ჩლაიძე, ფირცხალავა, ცერცვაძე, ვ. გველესიანი, მ. თევზაძე, მ. მაისურაძე, ყოლბაია (სულაძე 46), გ. ლომიძე, კორლალიძე (ამირიძე 70), კაკაშვილი (ყუფარაძე 75), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* აბაშიძე, დ. კაპანაძე, ქიქავა, ლაცაბიძე
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი (კვიციანი 88), ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, თ. ბოკერია (ზ. გვაზავა 58), აბაზაძე, ი. კაპანაძე, ვ. მაისურაძე, ლ. ნოზაძე (ლამბაშიძე 82), ვ. გოჩაშვილი, გ. გვაზავა
*სათადარიგონი:* გუგუნავა, ენუქიძე, დ. დოლიძე, ა. ბოკერია
**გაფრთხილება:** აბაზაძე (47), მენთეშაშვილი (87)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე, ა. მეშკოვი, ა. ქარქაშაძე, ზ. დარჩია (ყველა თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ა. დურსუნიში

სამტრედია
16 აგვისტო
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 000 (ტევადობა 15 000)

### იბერია 3:1 ბათუმი

1:0 ხუჭუა (34პ), 2:0 ვ. გიგიაძე (57). 2:1 მაჭუტაძე (67), 3:1 დარასელია (88)
**იბერია:** ა. ლაბაძე, გ. ნიკოლეიშვილი (სადილიანი 72), მიქელთაძე, გეგეშიძე, ს. გიგიაძე, ბრეგვაძე, შ. ჩომახიძე, ხუჭუა, ვ. გიგიაძე (ქობესაშვილი 86), დარასელია, მუმლაძე (ივეჩიანი 69)
*სათადარიგონი:* ჩაჩუა, გ. ლურსმანაშვილი, ჩიქობავა, ბაკურაძე
**ბათუმი:** ტოგონიძე, გოგიტაძე, აფხაზავა, სიჭინავა, მაქაცარია (კანტიძე 54), ვერემჩუკი, მ. მახარაძე, ღლონტი (რუსია 46), მაჭუტაძე, ტულუში, გადელია
*სათადარიგონი:* მალაყმაძე, პაპიძე, რომანაძე, ყულეჯიშვილი
**გაფრთხილება:** ხუჭუა (83)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე, ი. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი (სამივე თბილისი); ი. ლორთქიფანიძე (ტყვარჩელი)
**სფფ-ს დელეგატი:** ა. მილჩენკო

ლანჩხუთი
15 აგვისტო
18 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
500 (ტევადობა 22 000)

### გურია 2:0 თსუ

1:0, 2:0 დ. მახარაძე (88, 90).
**გურია:** გოგუა, ფაცურია (ჩიქვილაძე 83), კაკაჩია, კუკულაძე, ი. ბუხრიკიძე, ლორია (ზ. კვეკვესკირი 54), ინიაშვილი, დ. მახარაძე, პატარაია (კავთელაძე 54), მელაძე, გიორგაძე
*სათადარიგონი:* ვარდანიძე, იობიძე, თიბილაშვილი.
**თსუ:** გაბელია, გ. ილურიძე, ზამთარაძე, თ. კობიაშვილი, კ. სვანიძე (ნინუა 69), ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი, ჭუმბურიძე (ბახტაძე 75), როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* მერლანი, ჭიაბრიშვილი, სულაძე, ინწკირველი, დ. არჩვაძე
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი), კ. გაბრიაძე, ა. შალამბერიძე (ორივე ქუთაისი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
**სფფ-ს დელეგატი:** მ. იაშვილი

გორი
15 აგვისტო
18 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 8 230)

### დილა 2:0 სიონი

1:0, 2:0 კაიდარაშვილი (83, 84)
**დილა:** მდივანი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე, ლ. გოჩაშვილი (დ. მაისურაძე 46), თაყაძე, მარეხაშვილი (გუდურაშვილი 87), ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, ბ. ჩიტაია (ახალკაცი 72), შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, გაგნიძე, აკოფიანი
**სიონი:** დალაქიშვილი, დ. ბერიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ძნელაძე, მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, პოზოიანი (ვ. სამხარაძე 62), გაგუა, ჯაგიდისი (ქობელაშვილი 46), მოსეშვილი
*სათადარიგონი:* დ. სვანიძე, ფოფხაძე, კ. ჯაფარიძე, დ. ჯაფარიძე
**გაფრთხილება:** პოზოიანი (35)
**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი), პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); გ. ასკაროღლი (ქარელი)
**სფფ-ს დელეგატი:** უ. ფურცელაძე

წყალტუბო
15 აგვისტო
18 საათი
26 მაისი
1 500 (ტევადობა 12 000)

### სამგურალი 1:0 გორდა

1:0 ფაიქიძე (40პ)
**სამგურალი:** სტურუა, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე, კოლუაშვილი (დარსაძე 65), დ. ჭელიძე, მახვილაძე, ი. ხაჭაპურიძე (ძაგნიძე 46), ლონლაძე (უგულავა 65), ფაიქიძე, თევდორაძე, კ. ჯანაშია
*სათადარიგონი:* ბობოხიძე, ქუთათელაძე, ლ. ქობულაძე, ფილიპაშვილი
**გორდა:** მ. ქორიძე, ხუჯაძე, ბურნაძე, მჭედლიძე, მ. სახვაძე, კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე, ზ. ლაბაძე, შ. კაპანაძე (დ. მენთეშაშვილი 33), კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი, ბექაური, ლ. ალადაშვილი, ჩოხელი
**გაფრთხილება:** ლონლაძე (60), ფრანგიშვილი (80)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); თ. ჩაგელიშვილი (ქარელი)
**სფფ-ს დელეგატი:** მ. კობიაშვილი

მცხეთა
16 აგვისტო
18 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

### ლოკომოტივი 3:0 ოდიში

1:0 ხორგუაშვილი (22), 2:0 მარლიშვილი (24პ), 3:0 ნ. მინდიაშვილი (82)
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, არსოშვილი, ბარნოვი, თარხნიშვილი, კ. მელქაძე, დაუშვილი (კაციაშვილი 46), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ნ. მინდიაშვილი 69), დ. გოდერძიშვილი, გ. ქორიძე (კოტორაშვილი 83)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, ბაქრაძე, ქვარცხავა
**ოდიში:** ნაყოფია, ღურწკაია, ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ჯაბუა, კ. კვეკვესკირი, ტყემალაძე (იოსავა 46), კაკულია (ვაზგანავა 46), თოლორაია, ტაბალუა (ჯოჯუა 68), ენდელაძე
*სათადარიგონი:* გოგია, ცაცუა, ჯურხაძე, ჩიქობავა
**გაფრთხილება:** ტყემალაძე (30), ქორიძე (42)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

ქუთაისი
15 აგვისტო
18 საათი
მეფე ძილაძე
4 000 (ტევადობა 23 800)

### ტორპედო 5:1 კოლხეთი

1:0 ჯანაშია (5), 2:0 ვაშაკიძე (17), 2:1 წიწნიაძე (26), 3:1, 4:1 იონანიძე (43, 66პ), 5:1 ვაჩიბერაძე (77)
**ტორპედო:** ასლანაძე, პ. ჯინჭარაძე, ჩხეტიანი, ი. ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, კ. კვეტენაძე (ყიფიანი 46), თურმანიძე (ჩხაბერიძე 78), დ. ჯანაშია (კ. მეტრეველი 76), იონანიძე, ვაჩიბერაძე
*სათადარიგო:* მამარდაშვილი
**კოლხეთი:** ქვაჩახია, სუხიაშვილი (ლაღანიძე 46), ტორჩინავა, ახვლედიანი, გიორგობიანი (პაპავა 82), კალანდაძე (კრასოვსკი 82), დ. ნოზაძე, შალამბერიძე, გვასალია, წიწნიაძე, მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია, ქუნთელია, ბაჩილავა, შავგულიძე
**გაფრთხილება:** წიწნიაძე (60), ჯანაშია (68)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), მ. ელიკაშვილი (თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი); კ. მესხი (ზუგდიდი)
**სფფ-ს დელეგატი:** კ. ყრუაშვილი

თბილისი
15 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

### დინამო 5:1 მერანი

0:1 დავითნიძე (20), 1:1 აშვეთია (27), 2:1 ცქიტიშვილი (34პ), 3:1, 4:1 ხომერიკი (40, 51), 5:1 აშვეთია (63)
**დინამო:** სოლოლაშვილი, ი. მახარაძე, ჯელაძე, დიდავა, დ. მუჯირი (ალექსიძე 46), გუჩუა, კიკნაძე, აშვეთია (გ. შენგელია 71), ლ. კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ხომერიკი (ლ. მელქაძე 61)
*სათადარიგონი:* გვარამაძე, კვარაცხელია, ქემოკლიძე, ა. სახვაძე
**მერანი:** ლომაია, ივანიშვილი, ალადაშვილი, დავითნიძე (ჯიშკარიანი 53), დანელია, გეწაძე (დევიძე 81), ჭინჭარაული, ცქიფურიშვილი, გ. კვეტენაძე (ბაჯელიძე 75), ხუციშვილი, მესხი
*სათადარიგონი:* ნაჭყეპია, ხარებავა, ჩიგოშვილი
**გაფრთხილება:** კვეტენაძე (22), გუჩუა (55)
**მსაჯები:** თ. ლორთქიფანიძე, ზ. დოლიძე (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); კ. თბილელი (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ჯ. თანანაშვილი

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 4 - | ხომერიკი | დინამო |
| 3 - | აშვეთია | დინამო |
| 2 - | ვაშაკიძე | ტორპედო |
| | იონანიძე | ტორპედო |
| | კაიდარაშვილი | დილა |
| | დ. მახარაძე | გურია |
| | მელაძე | გურია |
| | შაკიაშვილი | სიონი |
| | დ. ჯანაშია | ტორპედო |
| 1 - | ამაშუკელი | იბერია |
| | ბახტაძე | თსუ |
| | გ. გვაზავა | ვიტ ჯორჯია |
| | ვ. გიგიაძე | იბერია |
| | დავითნიძე | მერანი |
| | დარასელია | იბერია |
| | ვაჩიბერაძე | ტორპედო |
| | თაყაძე | დილა |
| | კაკაშვილი | არსენალი |
| | კ. კვეტენაძე | ტორპედო |
| | კიკნაძე | დინამო |
| | მარლიშვილი | ლოკომოტივი |
| | მაჭუტაძე | ბათუმი |
| | ლ. მელქაძე | დინამო |
| | დ. მენთეშაშვილი | გორდა |
| | ნ. მინდიაშვილი | ლოკომოტივი |
| | ფაიქიძე | სამგურალი |
| | ცქიტიშვილი | დინამო |
| | ხუჭუა | იბერია |
| | ხორგუაშვილი | ლოკომოტივი |
| | წიწნიაძე | კოლხეთი |




| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო | (1) | 2 | 2 | 0 | 0 | 10:2 | +8 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 10:2 | +8 | 6 | — | — | — | — | — | — | — |
| 2 ტორპედო | (2) | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | +6 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 8:2 | +6 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 |
| 3 იბერია | (4) | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | +3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | +2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 |
| 4 ლოკომოტივი | (10) | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | +3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | +3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 5 გურია | (5) | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | +2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 6 დილა | (7) | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | +2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | +2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 7 ვიტ ჯორჯია | (3) | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | — | — | — | — | — | — | — | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 |
| 8 სამგურალი | (12) | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | +1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | +1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 9 გორდა | (8) | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 10 სიონი | (6) | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 11 კოლხეთი | (9) | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | -4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | -4 | 0 |
| 12 მერანი | (11) | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | -4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | -4 | 0 |
| 13 არსენალი | (16) | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | -4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | -4 | 0 |
| 14 ბათუმი | (14) | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 15 თსუ | (15) | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 16 ოდიში | (13) | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |

# სტუმრად მესაფლავეებთან

ბელგრადის ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „მეტროპოლში“ „დიდი“ ლეონიდ ბრეჟნევის აჩრდილი დადის და... წარმოიდგინეთ, ნომერში, სადაც თქვენი მონა-მორჩილი ისვენებდა, თავის დროზე, უფრო სწორად მაშინ, როცა ლეონიდ ილიჩი საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი გახლდათ, თურმე ბრეჟნევი ნებივრობდა (!).

იუგოსლავ კომუნისტებს „მეტროპოლი“ შეგნებულად საპატიო სტუმართა მისაღებად აუგიათ, რასაც სასტუმროს ფოიეში კედელზე მიწებებული სტენდიც



აჩრდილი დადის მეტროპოლში, აჩრდილი ლეონიდ ილიჩისა

მოწმობს. ვის აღარ შეუვლია „მეტროპოლში“ — კენედი, ელიზაბეტ ტეილორი, ფრენკ სინატრა, „ბიტლზები“, ინდირა განდი და სხვა ცნობილ-ცნობილი პიროვნებებიც არ აკლდა ჩვენს მასპინძელ „კარ-მიდამოს“. იუგების ნაქებ შენობას კომფორტსა და ინფრასტრუქტურას კაცი ვერაფერს დაუწუნებდა, ეგ იყო, იქაურობას ოდნავი კოსმეტიკური შელამაზება აკლდა, თორემ უძველესი სავარძლები, მექანიკურ გადასართველიანი ტელევიზორი, მინანქარამსკდარი აბაზანა და სასთუმალთან მოთავსებული ელექროლამპა, მართლაც განუმეორებელი გახლდათ. კაცი თუ ძალიან მოინდომებდა, ცნობილი ხალხის პირად ნივთებსაც წააწყდებოდა. საამისოდ კი პორტიეს „შებმა“ იყო საჭირო. გაალებდა იგი სეიფს და... თუმცა ბელგრადში თანამედროვებამ იძალა, იგივე ხდება „მეტროპოლშიც“. წარმოიდგინეთ, ბრეჟნევს რომ იქვე, პირველ სართულზე მოთავსებულ სტრიპტიზ ბარში შეევლო, ანაც აქამდე ჩვენთვის უცნობ გრანდ კაზინოში გაეტარებინა თავისუფალი დრო... ახლა კი ასეა, ფოიეში ბლომად მოკალათებულ მეძავეთაც შეხვდებოდით და ერთ-ორ პედერასტსაც... ეს სასტუმროზე, რომელზე ართქმაც ეგებ პატარა „ცოდვად“ ჩამთვლოდა, რადგანაც გადავწყვიტე, იუგოსლავიური, უფრო სერბული, შთაბეჭდილებები თქვენთვისაც გამეზიარებინა. ახლა ულამაზეს ბელგრადზე.

## შუქნიშანი ანუ შაქრო და ზაქრო

ბელგრადში გატარებული ოთხი დღის განმავლობაში ბარე ათჯერ მაინც ნაღდად გადავურჩი მანქანის ბორბლებს. თბილისურ მოძრაობას ჩვეულისთვის მოულოდნელი იყო შუქნიშნებში ჩამონტაჟებული მინიმაგნიტოფონები. რა მაგნიტოფონებიო, იკითხავთ. ახლავე. როცა ტროტუარზე დგახარ და ფეხით მოსიარულეთათვის მწვანე შუქს ელი, შუქნიშანი თანამედროვე მუსიკის ჰანგებით გამცნობს, შენი გზაა, მანქანები შენ გელოდებიანო. მე კი თავი ქართულ ბაზრობებზე მეგონა, ვფიქრობდი, კასეტების გაყიდვა მოუნდომებია ვინმეს-მეთქი, დავადებდი თავს და... ბედად მძღოლები იყვნენ ერთობ ყურადღებიანი, ოდენ მათი საყვირი თუ მაკავებდა. მოკლედ, მულტფილმი თუ გახსოვთ შაქროსა და ზაქროზე, მეც თითქმის იგივე მემართებოდა.



NT PLUS

მესაფლავენი საქმეს თამაშის დაწყებამდე შეუდგნენ

## ნუღარ გიკვირთ

რა ვიცი, თავი საშუალო სიმაღლის ადამიანად მიმაჩნია, ბედს არ ვემდური, მაგრამ ბელგრადში კი ვიგრძენი, ღმერთს ჩემთვის იუგებთან შედარებით ცოტა სიმაღლე რომ დაუკლია. ასეთი არაფერი მინახავს. შეიძლება, დაახლოებით 178 სმ-ის სიმაღლის კაცმა ათი ადგილობრივი გამვლელიდან ლამის შვიდს თავაწეულმა უყუროს? კინაღამ კისერი გამიშეშდა. მგონი, იუგთა საშუალო სიმაღლე 185 სანტიმეტრია. ქალია თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, მნიშვნელობა არა აქვს. პრაქტიკულად ყველა ერთი სიმაღლისაა, თუმცა სიმაღლეცაა და სიმაღლეც, ზოგი უფრო გრძელია, ვიდრე... ჰოდა, აღარ გაგიკვირდეთ, კიდევ ბევრს თუ მიაღწევენ სლავი კალათბურთელები. ანატომია ხომ ხელს უწყობთ, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მათი სპორტის ამ სახეობისადმი დამოკიდებულებაა. გახსოვთ, ვწერდი, ბელგრადში ერთი ციხე-ქალაქია — კალემეკდანი, რომელიც დუნაისა და სევას შესართავს დასცქერის-მეთქი. ჰოდა, როცა იმ ანტიკურ ნაგებობას ვესტუმრე, თვალები შუბლზე მქონდა. ძველ სლავებს მტერთაგან თავის დასაცავად ციხისთვის ორმაგი გალავანი შემოურტყამთ, რომელთა შორის დაშორებაც დაახლოებით 12-13 მეტრია. შედარებისთვის გეტყვით, ჩვენს ნარიყალას მეორე დამცავი კედელიც რომ ჰქონდეს, თითქმის ისეთივეა იქაურობა. კალემეკდანზე თანამედროვე კორტები, კალათბურთისა და მინი ფეხბურთის მოედნები, კაფე-ბარებია, მტკაველიც არაა მოცდენილი. დადიან იუგოსლავიელი ჭაბუკები და ვარჯიშობენ, ხუთი წლის ასკიდან დაწყებული ყველანი ფიზიკურად იწრთობიან. ინვენტარი როგორი და რა სახის გნებავთ, ოღონდ სურვილი გქონდეს სპორტს მისდიო, დანარჩენი მწვრთნელებმა იციან. ბელგრადში ისე არაა, როგორც ჩვენთან, ზოგიერთი მწვრთნელი შეგირდებს ბურთს რომ გადაუგდებს და კისერიც გიტეხიათო, ეტყვის. იუგოსლავიელებმა დაფასებაც იციან. აგერ ფოტო, შხედეთ და თავად განსაჯეთ, რა ხდებოდა ბელგრადში რევოლუციის პროსპექტზე, როცა კალათბურთელები ათენიდან დაბრუნდნენ. მათი პატივისცემა არ ავიწყდებათ, სპორტს და სპორტსმენებს ისე უყურებენ, როგორც ერის წარმოჩენის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას. საქართველოში კი...



СПОТСКИ ЖУРНАЛ

მსოფლიოს ჩემპიონ კალათბურთელებს მთელი ბელგრადი შეეგება

## მესაფლავენი

გრობარი — ასე ჰქვია „პარტიზანის“ თავგადაკლულ ქომაგთ. ქართულად ეს სიტყვა მესაფლავეს ნიშნავს. „ცრვენა ზვეზდას“ ფანებს — დელიებს უწოდებენ. ამ სიტყვას, ვფიქრობ, თარგმნა არ სჭირდება. ალბათ ისეც ნათელია — აბა დელიაო, ხომ გაგიგიათ. პარტიზანები დაგმარხავთო, ამბობენ, ვარსკვლავები კი პირიქით, გამხნევებენ შენცა და თავის გუნდსაც. აბა, გულშემატკივრობა ბელგრადის „მარაკანაზე“, ანდაც „პარტიზანზე“ უნდა გენახათ. ლამის იყო, ქომაგთ ზარბაზნები მოეტანათ ტრიბუნებზე და ისე აჭექებდნენ, უნებურად თამაშის იშტაზე მოგიყვანდნენ. ამათი ხმაშეწყობილი შეძახილები ყველა ფეხბურთელს შეაგულიანებს, ათამაშებს, გოლს გაატანინებს. სამწუხაროდ, არა ქართველთ, რადგანაც ჩვენში მსგავსი ჯერ არ ყოფილა, არ მომხდარა და, ალბათ, კარგა ხანს ვერც მოვესწრებით. ვიქნებით ასე ჩუმად, მდუმარედ, როცა ჩვენი საქომაგო გუნდი 5:0 იგებს, მხოლოდ მაშინ გვეხსნება კრიჭა ქართველ „ფანებს“ და არა იმ დროს, როცა ანგარიში თანაბარია, ანაც ვაგებთ. არადა, ქომაგობა სწორედ იმისთვისაა, გუნდს რომ მოაგებინო. ყვირიან, ბღავიან, მღერიან, მაშხალებს ანთებენ და სტადიონს თვითკმაყოფილები ტოვებენ. დაკეცავენ, ჩამოხსნიან საქომაგო ლოზუნგებს, მერე ბარში დასხდებიან, თამაშს გაარჩევენ, შინ დაბრუნდებიან და მეორე დღესვე ახალი მატჩისთვის მზადებას იწყებენ. კლუბის ემბლემით დამშვენებულ კეპს დაიხურავენ, მაისურს მოისხამენ, დროშას ააფრიალებენ. კარგი დედის შვილი ხარ და არ ითამაშო, გრობართა თუ დელიეთა რისხვას ძნელად ვინმე გადაურჩეს. პრინციპი მარტივია, სტადიონზე მოვდივართ, გქომაგობთ, გვიყვარხართ და კეთილი ინებეთ, პატივი გვეცითო, ამბობენ ფანები. ჯორჯიან ფუტბოლში კი ასეთი რამ უცხოა, უცხო იქნება კიდევ დიდ ხანს, იქამდე, სანამ, გიო აზვლედიანის კითხვა-პასუხისა არ იყოს, მთავარი თავის გამართლება იქნება და არა გოლის გატანა.



NT PLUS

პარტიზანი საშა ილიჩი თამაშითაც და ლამაზი გოლითაც გამოირჩა

## თამაში და ბიჭები

ბევრს არაფერს ვიტყვი. მატჩი ხომ ყველამ ნახეთ, ხომ ყველამ ხელი ჩაიქნიეთ, ხომ ვთქვით, არაფერი გვეშველა, სირცხვილი ვჭამეთო? ასე იყო, სირცხვილი ვჭამეთ, თანაც დიდი. „ბათუმმა“ ცუდად ითამაშა, კრიტიკაც კი ზედმეტი იქნება „პარტიზან“ — „ბათუმის“ მატჩის შესაფასებლად. ყველაფრის მიუხედავად, რადგან ღმერთმა გადმოგვხედა და 0:2-ზე მეტად არ წავაგეთ, ერთს ვიტყვი, ბიჭებს გავამხნევებ, მით უმეტეს, რომ არც „პარტიზანია“ ის გუნდი, ბათუმელთ იმედი წარეკვეთოთ. მიდით, ბიჭებო, თუ მოინდომებთ, საუკეთესო თვისებებს გვაჩვენებთ, ივიჩიც უკან დაგრჩებათ, ილიჩიც, სტოისავლიევიჩიც და იუგოსლავიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი და თქვენთვის პირველი გოლის გამტანი აყლაყუდა ბიეკოვიჩიც. მაშ, მიდით, ხომ შეგიძლიათ! დაუმტკიცეთ ყველას, რომ ბელგრადში ყველაფერი შემთხვევითი იყო. „პარტიზანთან“ შეხვედრისას, მართალია, ორჯერ მთელი მატჩისას, მაგრამ მაინც ხომ დაანახეთ ხალხს, საგოლე მომენტის შექმნა და ბურთის გაგორება რომ შეგიძლიათ? ჰოდა, დაივიწყეთ პარტიზანული კოშმარი, გამხნევდით და თქვით, 13 აგვისტოს მატჩი ჩვენს კარიერაში ყველაზე ავადმოსაგონარი იქნებაო. მერწმუნეთ, ასეთი თამაში ყველა ფეხბურთელის მეხსიერებაშია. ფეხბურთელი იმისაა, ხან კარგად ითამაშებს, ხანაც ცუდად. თქვენ შეგიძლიათ ლამაზი, კარგი ფეხბურთი და მიდით, პარტიზანებს ღირსეულად დაუხვდით.

## ერთიც

მატჩის მერე, ჩვეულებისამებრ, პრესკონფერენცია გაიმართა. თამაშის სარბიელისეულ გარჩევაში ესეც ეწერა და რაც იქ ითქვა, დაწვრილებით აღარ გავიმეორებ. გულსატკენი, გულდასაწყვეტი მხოლოდ ისაა, რომ... გგონიათ ფეხბურთელები რამეთი თავს იმართლებენ? არა,ბატონებო, მათაც იციან, რომ ცუდად ითამაშეს და ღმერთს მადლობას უძღვნიან, 0:10, 0:15 რომ არ წააგეს. „ბათუმის“ წარმომადგენელმა კი პრესკონფერენციაზე არ ვიცი რატომ, მაგრამ ჟურნალისტებს განუცხადა, „პარტიზანის“ საჯარიმოში საეჭვო სიტუაცია შეიქნა და მსაჯმა პენალტი არ დანიშნაო. ერთმა იქაურმა კოლეგამ მაშინვე წამოიძახა, კი მაგრამ, რა პენალტზე ლაპარაკობს ეს კაციო. მას დანარჩენებიც აჰყვნენ, ოღონდ სხვა ფორმით, ირონიულად ჩაიღიმეს და... პროტესტის, თუ სხვა რაიმე მიზეზით დარბაზი დატოვეს.

**კობა ინასარიძე**
ბელგრადი–თბილისი

ბოსნიისა და ფარერების დღევანდელი მატჩი, მოდი, ევრო 2000-ის დასაწყისად ჩავთვალოთ. აქამდეც იყო თითო-ოროლა თამაში, მაგრამ ახლა სხვა დროა, მალე მართლა გახურდება შეჯიბრება, რომლის ფინალურ ეტაპზე, ვინ იცის, იქნებ საქართველოც მოხვდეს. იმედი ხომ იცით..

ბოლო ეტაპი კი ბელგიასა და ჰოლანდიაში გაიმართება. ქვემოთ, მოკლედ ამსტერდამსა და ბრიუსელზე წაიკითხავთ.

# ფრთხილად, ის მეტისმეტად დიდებულია

ერთ მშვენიერ დღეს, 1997 წლის 14 აგვისტოს, „მილანი“ „აიაქსთან“ სეზონისწინა ამხანაგური შეხვედრის სათამაშოდ რომ ჩავიდა, ამსტერდამში არც 1934 წელს აგებული 19-ათასიანი „დე მეერის“ სტადიონი ახმაურებულა და არც „ოლიმპიკ სტადიონი“, სადაც ჰოლანდიის დიდი კლუბი ერთი ხნის წინ ევროპულ გრანდებს მასპინძლობდა და აცამტვერებდა. სანაცვლოდ, ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით თავს იწონებდა ახალი სარბიელი, „ამსტერდამ არენა“, კრუიფის მემკვიდრეთა ახალი ეპოქის სიმბოლო.

„არენა“ ერთი მარცხის პირმშო გახლავთ. დიახ, მარცხის, რადგან ამსტერდამმა 1992 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ბარსელონასთან წააგო და 52-ათასიანი სტადიონი, რომელიც სწორედ ოლიმპიადისთვის იყო ჩაფიქრებული, მიზანს აცილებულ მუშტს დაემსგავსა. არადა, რა გინდა სულო და გულო, მოძრავი სახურავი თუ მიწისქვეშა გარაჟი, 2600 მანქანაზე გაანგარიშებული.

სარბიელი ამსტერდამის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის და „აიაქსს“ იჯარით აქვს აღებული. აქვეა ახალგაზრდობის განვითარების ცენტრიც. ყველაფერი ერთად გულდენებში 240 მილიონი დაჯდა, რაც დოლარებში დაახლოებით 130 მილიონის ტოლფასია. ეს ფული მუნიციპალიტეტმა, ეროვნულმა ლატარიამ, „აიაქსის“ სპონსორმა ABN-AMRO ბანკმა და ინდივიდუალურმა ინვესტორებმა ფილიპსმა, კოკა-კოლამ და გროლშმა გაიღეს.

თუ გეუცნაურათ „აიაქსის“ სტადიონის შენებაში „ეინდჰოვენის“ პატრონის ფილიპსის მონაწილეობა, ჩათვალეთ, რომ „არენა“ მარტო ფეხბურთის სათამაშო ადგილი არ არის და ყველაფერი ნათელი გახდება. ჯერ ერთი, იმავ ფეხბურთშიც მხოლოდ „აიაქსი“ არ გახლავთ სარბიელის ერთპიროვნული ბინადარი. ქალაქის მეორე გუნდი „ამსტერდამ ადმირალზიც“ „არენაზე“ თამაშობს და გარდა ამისა, აქ მალიმალ იმართება ცნობილ როკ-ჯგუფთა კონცერტები.

თუმცა, მთავარი, ბუნებრივია, მაინც „აიაქსი“ გახლავთ. დიდ კლუბს დიდი სტადიონი აუგეს, ოღონდ შიშობენ, რომ ახალმა, გრანდიოზულმა ნაგებობამ შესაძლოა, კლიმატი შეცვალოს. არა, აქ იმ გარეუბნის კლიმატი არ იგულისხმება, სადაც „არენაა“ წამოჭიმული, „აიაქსის“ სულზეა ლაპარაკი. იმაზე, 1960-იანი წლებიდან რინუს მიხელსმა რომ შთაბერა კლუბს, 70-იანებში კრუიფმა განადიდა და შემდგომმა თაობებმა საბოლოო სახე მისცეს.

და ეს ყველაფერი ძველ სტადიონზე ხდებოდა, ახლა კი თითქოს ხე მოჭრესო, იქ, სადაც დიადი ატმოსფერო იყო შექმნილი, აღარაფერია. სანაცვლოდ აგებულ დიდ „არენას“ კი ვინ იცის, ვერ მოერგოს სულ სხვა გარემოს ნაჩვევი სული.

ლუის ვან გაალი „ბარსელონაში“ გადასვლამდე, მოგეხსენებათ, „აიაქსში“ აღწევდა საოცარ წარმატებებს. აი, რას ამბობს მწვრთნელი:

— ყველაზე მნიშვნელოვანი ახალ სტადიონზე ფიზიკურად გადაბარგება კი არა, კლუბის კულტურის ფაქიზად და ლიად გადატანა გახლავთ. სწორედ ეს იქნება ყველაზე რთული საქმე.

დიახ, ასეთი პრობლემების წინაშე დგანან მეოცე საუკუნის მიწურულის ამსტერდამელები. არადა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ თაობებს ფეხბურთი თითქმის არ აინტერესებდათ. ის კი არა, 1981 წელს, როდესაც კრუიფი „ბარსელონადან“ „აიაქსში“ დაბრუნდა, „დე მეერზე“ მაყურებელთა რაოდენობა კი გაორმაგდა, მაგრამ არ იკითხავთ რამდენი გახდა? 1970-იანი წლების უდიდეს წარმატებათა მიუხედავად, 1979-80 წლების სეზონში „აიაქსის“ თამაშებმა საშუალოდ 9765 ადამიანი შეკრიბა და ამ რიცხვის გაორმაგებაზეა ლაპარაკი.

„არენას“ აგება კიდევ იმას ნიშნავს, რომ ამსტერდამელი გულშემატკივრები როტერდამელებს ნაკრების შეხვედრებს სტაცებენ. ნარინჯისფერები ხომ 1992 წლის მარტში, იუგოსლავიასთან თამაშის მერე როტერდამის „დე კუიპზე“ იყვნენ გადასახლებულნი, ახლა კი ამსტერდამში სტადიონიც უკეთესია და გარემოც. ბოლო დროს როტერდამელები ხომ რატომღაც გახულიგნდნენ. მოკლედ, ევრო 2000-ის მთავარი სარბიელის ვინაობა ცნობილია.

და საბრალო „დე მეერი“? „აიაქსის“ უძველესი სტადიონი ისტორიას ჩაბარდა. რა უნდა ექნათ უფუნქციოდ დარჩენილი 180 კვადრატული მეტრისთვის?

გადაწყდა. „დე მეერისგან“ სასაფლაო გაკეთდა. ამიერიდან ამსტერადმელ ებრაელთა და მდიდართა საყვარელი კლუბის თავგადაკლულ ქომაგებს ექნებათ ადგილი, სადაც ანდერძის თანახმად, თავიანთ ნეშტს მიაბარებენ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან იქ, დიახ იქ, სწორედ იქ იშვა ოდესღაც სული, რომელმაც წითელზოლიანი თეთრი მაისურით მსოფლიო დაიპყრო.

იქნებ გარეუბანში აშენებულ ზეთანამედროვე სარბიელზე „აიაქსმა“ დაიწყოს კიდეც ახალი ერა. იქნებ ფეხბურთელთა და გულშემატკივართა მომდევნო თაობებმა ისევ დააჩოქონ მწვერვალები, მაგრამ ბებერ, ნაღდ ამსტერდამელ ქომაგებს რას გამოაპარებ. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ვესტგაარდეს სასაფლაოზე დაბოდიალებს არჩდილი, რომელიც იქაურობას არასოდეს მოშორდება.

# ასეთია მეფე

მორჩა და გათავდა, ამას ვერაფერი შეცვლის, ბრიუსელი და „ეიზელი“ ყოველთვის 1985 წლის 29 მაისთან იქნება დაკავშირებული, რადგან იმ საღამოს ჩემპიონთა თასის ფინალში, „იუვენტუსისა“ და „ლივერპულის“ შეხვედრის წინ ინგლისური გუნდის გულშემატკივართა დაწყებულმა ჩხუბმა ტრიბუნა ჩაანგრია და 39 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

მერე ბელგიის ხელისუფლებამ და ფეხბურთის ფედერაციამ 32 მილიონი დოლარი გამოყვეს და სტადიონი საფუძვლიანად გაარემონტეს. 1995 წლის 23 აგვისტოს ხელახლა გახსნილ ნაგებობას უკვე „მეფე ბუდუინის“ სახელი ერქვა. გახსნის დღეს ბელგიამ გერმანიას უმასპინძლა, მეტოქეთა გულშემატკივრებმა კი იჩხუბეს, მაგრამ ღვთის მადლით, ამჯერად არავინ მომკვდარა.

„მეფე ბუდუინზე“ ევრო 2000-ის შეხვედრები გაიმართება. იმ დროისთვის მისი ტრიბუნები 10 ათასით მეტს, 50 ათას ადამიანს დაიტევს, თუმცა რამდენად გონივრულიმა ამის გაკეთება, კაცმა არ იცის, რადგან გინდა „ეიზელი“ დაარქვი, გინდა ბელგიის ბოლო მეფის სახელი, ბრიუსელში ფეხბურთს ამდენი ადამიანი არ ესწრება. იქნებ ევროპის პირველობაზე დაესწროს კიდეც, მაგრამ მერე?

„მეფე ბუდუინს“ მოედნის გარშემო სარბენი ბილიკებიც აქვს, ესე იგი ის მარტო ფეხბურთისთვის არაა აგებული, თუმცა უმთავრესად, რასაკვირველია, ფეხბურთს დაეთმობა. მოკლედ, ეიზელყოფილი ბელგიის უმთავრესი სარბიელია, მაგრამ...

— ჩვენ „ანდერლეხტი“ ვართ. ჩვენ ჩვენი სახლი გვაქვს, ლოჟებით, კლიენტებით, ქომაგებით, ბიზნეს-სექტორებით. მარად შინ უნდა ვიგრძნოთ თავი — ეს ბელგიის უდიდესი კლუბის პრესატაშის, ჟან პიერ კინდერმანსის სიტყვებია.

დიახ, „ანდერლეხტს“ „მეფე ბუდუინზე“ ქუდი რომ შეუგდო, არ შევა, რადგან 1919 წლიდან მოყოლებული, პარკ ასტრიდში თამაშობს, „ემილ ვერს სტადიონზე“... თუმცა უკაცრავად, ამ სტადიონს 1994 წლის მერე „კონსტანდ ვანდენ სტოკი“ ჰქვია. თავად კონსტანდ ვანდენ სტოკი დღეს 84 წლისაა და ასაკის გამო კლუბის პრეზიდენტის სავარძელი შვილს, როჟეს დაუთმო.

„მეფე ბუდუენის“ ჩრდილშია (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) პატარა სარბიელი სახელწოდებით „ეიზელ ანექსი“. მასზე 13 ათასი გულშემატკივარი ეტევა. 1988 წლამდე ამ პატარა „ეიზელზე“ „რასინგ ბრუსელი“ თამაშობდა, მაგრამ პირველი დივიზიონიდან გავარდნამ კლუბს ჯიბეზე ისე დაარტყა, რომ 30 კილომეტრის მოშორებით გადაისროლა და ახლა მეფის ჩრდილში თურქ ემიგრანტთა გუნდი თამაშობს, სულ რაღაც 500 მაყურებლის თვალწინ.

**მოამზადა ბაპუნა ძედიამ**

## I ჯგუფი

იტალია, დანია, შვეიცარია, უელსი, ბელარუსი

| | |
|---|---|
| 05.09.98 | ბელარუსი — დანია |
| 05.09.98 | უელსი — იტალია |
| 10.10.98 | დანია — უელსი |
| 10.10.98 | იტალია — შვეიცარია |
| 14.10.98 | უელსი — ბელარუსი |
| 14.10.98 | შვეიცარია — დანია |
| 27.03.99 | დანია — იტალია |
| 27.03.99 | ბელარუსი — შვეიცარია |
| 31.03.99 | იტალია — ბელარუსი |
| 31.03.99 | შვეიცარია — უელსი |
| 05.06.99 | დანია — ბელარუსი |
| 05.06.99 | იტალია — უელსი |
| 09.06.99 | უელსი — დანია |
| 09.06.99 | შვეიცარია — იტალია |
| 04.09.99 | დანია — შვეიცარია |
| 04.09.99 | ბელარუსი — უელსი |
| 08.09.99 | იტალია — დანია |
| 08.09.99 | შვეიცარია — ბელარუსი |
| 09.10.99 | უელსი — შვეიცარია |
| 09.10.99 | ბელარუსი — იტალია |

## III ჯგუფი

გერმანია, თურქეთი, ფინეთი, ჩრ. ირლანდია, მოლდოვა

| | |
|---|---|
| 05.09.98 | ფინეთი — მოლდოვა |
| 05.09.98 | თურქეთი — ჩრ. ირლანდია |
| 10.10.98 | თურქეთი — გერმანია |
| 10.10.98 | ჩრ. ირლანდია — ფინეთი |
| 14.10.98 | მოლდოვა — გერმანია |
| 14.10.98 | თურქეთი — ფინეთი |
| 18.11.98 | ჩრ. ირლანდია — მოლდოვა |
| 27.03.99 | ჩრ. ირლანდია — გერმანია |
| 27.03.99 | თურქეთი — მოლდოვა |
| 31.03.99 | გერმანია — ფინეთი |
| 31.03.99 | მოლდოვა — ჩრ. ირლანდია |
| 04.06.99 | გერმანია — მოლდოვა |
| 05.06.99 | ფინეთი — თურქეთი |
| 09.06.99 | მოლდოვა — ფინეთი |
| 04.09.99 | ფინეთი — გერმანია |
| 04.09.99 | ჩრ. ირლანდია — თურქეთი |
| 08.09.99 | გერმანია — ჩრ. ირლანდია |
| 08.09.99 | მოლდოვა — თურქეთი |
| 09.10.99 | გერმანია — თურქეთი |
| 09.10.99 | ფინეთი — ჩრ. ირლანდია |

## II ჯგუფი

ნორვეგია, საბერძნეთი, საქართველო, ლატვია, სლოვენია, ალბანეთი

| | |
|---|---|
| 05.09.98 | ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ალბანეთი |
| 06.09.98 | საბერძნეთი — სლოვენია |
| 06.09.98 | ნორვეგია — ლატვია |
| 10.10.98 | ალბანეთი — საბერძნეთი |
| 10.10.98 | სლოვენია — ნორვეგია |
| 10.10.98 | ლატვია — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ |
| 14.10.98 | ნორვეგია — ალბანეთი |
| 14.10.98 | საბერძნეთი — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ |
| 14.10.98 | სლოვენია — ლატვია |
| 27.03.99 | საბერძნეთი — ნორვეგია |
| 27.03.99 | ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — სლოვენია |
| 31.03.99 | სლოვენია — ალბანეთი |
| 31.03.99 | ლატვია — საბერძნეთი |
| 28.04.99 | ალბანეთი — ლატვია |
| 28.04.99 | ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ნორვეგია |
| 30.05.99 | ნორვეგია — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ |
| 05.06.99 | ალბანეთი — ნორვეგია |
| 05.06.99 | ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — საბერძნეთი |
| 05.06.99 | ლატვია — სლოვენია |
| 09.06.99 | ალბანეთი — სლოვენია |
| 09.06.99 | საბერძნეთი — ლატვია |
| 04.09.99 | ნორვეგია — საბერძნეთი |
| 04.09.99 | ლატვია — ალბანეთი |
| 04.09.99 | სლოვენია — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ |
| 08.09.99 | საბერძნეთი — ალბანეთი |
| 08.09.99 | ნორვეგია — სლოვენია |
| 08.09.99 | ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ლატვია |
| 09.10.99 | ალბანეთი — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ |
| 09.10.99 | სლოვენია — საბერძნეთი |
| 09.10.99 | ლატვია — ნორვეგია |

## IV ჯგუფი

რუსეთი, საფრანგეთი, უკრაინა, ისლანდია, სომხეთი, ანდორა

| | |
|---|---|
| 05.09.98 | სომხეთი — ანდორა |
| 05.09.98 | უკრაინა — რუსეთი |
| 05.09.98 | ისლანდია — საფრანგეთი |
| 10.10.98 | ანდორა — უკრაინა |
| 10.10.98 | რუსეთი — საფრანგეთი |
| 10.10.98 | სომხეთი — ისლანდია |
| 14.10.98 | უკრაინა — სომხეთი |
| 14.10.98 | საფრანგეთი — ანდორა |
| 14.10.98 | ისლანდია — რუსეთი |
| 27.03.99 | ანდორა — ისლანდია |
| 27.03.99 | საფრანგეთი — უკრაინა |
| 27.03.99 | სომხეთი — რუსეთი |
| 31.03.99 | უკრაინა — ისლანდია |
| 31.03.99 | რუსეთი — ანდორა |
| 31.03.99 | საფრანგეთი — სომხეთი |
| 05.06.99 | უკრაინა — ანდორა |
| 05.06.99 | საფრანგეთი — რუსეთი |
| 05.06.99 | ისლანდია — სომხეთი |
| 09.06.99 | ანდორა — საფრანგეთი |
| 09.06.99 | რუსეთი — ისლანდია |
| 09.06.99 | სომხეთი — უკრაინა |
| 04.09.99 | უკრაინა — საფრანგეთი |
| 04.09.99 | ისლანდია — ანდორა |
| 04.09.99 | რუსეთი — სომხეთი |
| 08.09.99 | ანდორა — რუსეთი |
| 08.09.99 | ისლანდია — უკრაინა |
| 08.09.99 | სომხეთი — საფრანგეთი |
| 09.10.99 | საფრანგეთი — ისლანდია |
| 09.10.99 | რუსეთი — უკრაინა |
| 09.10.99 | ანდორა — სომხეთი |

## V ჯგუფი

ინგლისი, ბულგარეთი, შვედეთი, პოლონეთი, ლუქსემბურგი

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.09.98 | შვედეთი — ინგლისი | 05.06.99 | პოლონეთი — ბულგარეთი |
| 06.09.98 | ბულგარეთი — პოლონეთი | 05.06.99 | ინგლისი — შვედეთი |
| 10.10.98 | პოლონეთი — ლუქსემბურგი | 09.06.99 | ლუქსემბურგი — პოლონეთი |
| 10.10.98 | ინგლისი — ბულგარეთი | 09.06.99 | ბულგარეთი — ინგლისი |
| 14.10.98 | ლუქსემბურგი — ინგლისი | 04.09.99 | ინგლისი — ლუქსემბურგი |
| 14.10.98 | ბულგარეთი — შვედეთი | 05.09.99 | შვედეთი — ბულგარეთი |
| 27.03.99 | შვედეთი — ლუქსემბურგი | 08.09.99 | პოლონეთი — ინგლისი |
| 27.03.99 | ინგლისი — პოლონეთი | 08.09.99 | ლუქსემბურგი — შვედეთი |
| 31.03.99 | პოლონეთი — შვედეთი | 09.10.99 | შვედეთი — პოლონეთი |
| 31.03.99 | ლუქსემბურგი — ბულგარეთი | 10.10.99 | ბულგარეთი — ლუქსემბურგი |

## VI ჯგუფი

ესპანეთი, ავსტრია, ისრაელი, კვიპროსი, სან მარინო

| | |
|---|---|
| 05.09.98 | ავსტრია — ისრაელი |
| 05.09.98 | კვიპროსი — ისრაელი |
| 10.10.98 | კვიპროსი — ავსტრია |
| 10.10.98 | სან მარინო — ისრაელი |
| 14.10.98 | სან მარინო — ავსტრია |
| 14.10.98 | ისრაელი — ესპანეთი |
| 18.11.98 | სან მარინო — კვიპროსი |
| 10.02.99 | კვიპროსი — სან მარინო |
| 27.03.99 | ესპანეთი — ავსტრია |
| 28.03.99 | ისრაელი — კვიპროსი |
| 31.03.99 | სან მარინო — ესპანეთი |
| 28.04.99 | ავსტრია — სან მარინო |
| 05.06.99 | ესპანეთი — სან მარინო |
| 06.06.99 | ისრაელი — ავსტრია |
| 04.09.99 | ავსტრია — ესპანეთი |
| 05.09.99 | კვიპროსი — ისრაელი |
| 08.09.99 | ისრაელი — სან მარინო |
| 08.09.99 | ესპანეთი — კვიპროსი |
| 09.10.99 | ესპანეთი — ისრაელი |
| 10.10.99 | ავსტრია — კვიპროსი |

## VIII ჯგუფი

იუგოსლავია, ხორვატია, ირლანდია, მაკედონია, მალტა

| | |
|---|---|
| 05.09.98 | ირლანდია — ხორვატია |
| 06.09.98 | მაკედონია — მალტა |
| 10.10.98 | მალტა — ხორვატია |
| 10.10.98 | იუგოსლავია — ირლანდია |
| 14.10.98 | ირლანდია — მალტა |
| 14.10.98 | ხორვატია — მაკედონია |
| 18.11.98 | მალტა — მაკედონია |
| 10.02.99 | მალტა — იუგოსლავია |
| 27.03.99 | მაკედონია — ირლანდია |
| 27.03.99 | იუგოსლავია — ხორვატია |
| 31.03.99 | ხორვატია — მალტა |
| 31.03.99 | იუგოსლავია — მაკედონია |
| 05.06.99 | მაკედონია — ხორვატია |
| 05.06.99 | ირლანდია — იუგოსლავია |
| 09.06.99 | იუგოსლავია — მალტა |
| 04.09.99 | ხორვატია — ირლანდია |
| 08.09.99 | მალტა — ირლანდია |
| 08.09.99 | მაკედონია — იუგოსლავია |
| 10.10.99 | ხორვატია — იუგოსლავია |
| 10.10.99 | ირლანდია — მაკედონია |

## VII ჯგუფი

რუმინეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ლიხტენშტაინი, აზერბაიჯანი

| | |
|---|---|
| 02.09.98 | რუმინეთი — ლიხტენშტაინი |
| 05.09.98 | სლოვაკეთი — აზერბაიჯანი |
| 06.09.98 | უნგრეთი — პორტუგალია |
| 10.10.98 | პორტუგალია — რუმინეთი |
| 10.10.98 | ლიხტენშტაინი — სლოვაკეთი |
| 10.10.98 | აზერბაიჯანი — უნგრეთი |
| 14.10.98 | ლიხტენშტაინი — აზერბაიჯანი |
| 14.10.98 | უნგრეთი — რუმინეთი |
| 14.10.98 | სლოვაკეთი — პორტუგალია |
| 26.03.99 | პორტუგალია — აზერბაიჯანი |
| 27.03.99 | უნგრეთი — ლიხტენშტაინი |
| 27.03.99 | რუმინეთი — სლოვაკეთი |
| 31.03.99 | ლიხტენშტაინი — პორტუგალია |
| 31.03.99 | აზერბაიჯანი — რუმინეთი |
| 31.03.99 | სლოვაკეთი — რუმინეთი |
| 05.06.99 | პორტუგალია — სლოვაკეთი |
| 05.06.99 | აზერბაიჯანი — ლიხტენშტაინი |
| 05.06.99 | რუმინეთი — უნგრეთი |
| 09.06.99 | პორტუგალია — ლიხტენშტაინი |
| 09.06.99 | უნგრეთი — სლოვაკეთი |
| 09.06.99 | რუმინეთი — აზერბაიჯანი |
| 03.09.99 | აზერბაიჯანი — პორტუგალია |
| 04.09.99 | ლიხტენშტაინი — უნგრეთი |
| 04.09.99 | სლოვაკეთი — რუმინეთი |
| 08.09.99 | უნგრეთი — აზერბაიჯანი |
| 08.09.99 | რუმინეთი — პორტუგალია |
| 08.09.99 | სლოვაკეთი — ლიხტენშტაინი |
| 09.10.99 | ლიხტენშტაინი — რუმინეთი |
| 09.10.99 | აზერბაიჯანი — სლოვაკეთი |
| 10.10.99 | პორტუგალია — უნგრეთი |

## IX ჯგუფი

შოტლანდია, ჩეხეთი, ლიტვა, ბოსნია, ფარერები, ესტონეთი

| | |
|---|---|
| 04.06.98 | ესტონეთი — ფარერები 5:0 |
| 19.08.98 | ბოსნია — ფარერები |
| 05.09.98 | ბოსნია — ესტონეთი |
| 05.09.98 | ლიტვა — შოტლანდია |
| 06.09.98 | ფარერები — ჩეხეთი |
| 10.10.98 | ბოსნია — ჩეხეთი |
| 10.10.98 | ლიტვა — ფარერები |
| 10.10.98 | შოტლანდია — ესტონეთი |
| 14.10.98 | ლიტვა — ბოსნია |
| 14.10.98 | შოტლანდია — ფარერები |
| 14.10.98 | ჩეხეთი — ესტონეთი |
| 27.03.99 | ჩეხეთი — ლიტვა |
| 27.03.99 | შოტლანდია — ბოსნია |
| 31.03.99 | ლიტვა — ესტონეთი |
| 31.03.99 | შოტლანდია — ჩეხეთი |
| 05.06.99 | ბოსნია — ლიტვა |
| 05.06.99 | ესტონეთი — ჩეხეთი |
| 05.06.99 | ფარერები — შოტლანდია |
| 09.06.99 | ესტონეთი — ლიტვა |
| 09.06.99 | ფარერები — ბოსნია |
| 09.06.99 | ჩეხეთი — შოტლანდია |
| 04.09.99 | ბოსნია — შოტლანდია |
| 04.09.99 | ფარერები — ესტონეთი |
| 04.09.99 | ლიტვა — ჩეხეთი |
| 08.09.99 | ჩეხეთი — ბოსნია |
| 08.09.99 | ფარერები — ლიტვა |
| 08.09.99 | ესტონეთი — შოტლანდია |
| 09.10.99 | ესტონეთი — ბოსნია |
| 09.10.99 | ჩეხეთი — ფარერები |
| 09.10.99 | შოტლანდია — ლიტვა |

# არარსებული წიგნის კრიტიკა

ისევ ის, ჯერ არ გამოსული, მაგრამ მაინც სამსჯავროზე გატანილი, წყეული წიგნი. თუმცა ვისთვის წყეული და ვისთვის...

ორშაბათს ბიშემ ებიში ინგლისის ნაკრების მწვრთნელი გლენ ჰოდლი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდგომ პირველად შეხვდა ნაკრების ფეხბურთელებს. ჰოდლი და რჩეული ინგლისელი მობურთალები ეგებ ორშაბათამდეც შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ ინგლისის ნაკრები საფრანგეთი 98-ის შემდეგ პირველად შეიკრიბა. საერთოდ მიღებული წესია, რომ ქვეყნის პირველი გუნდის შეკრებისას მოახლოებულ თამაშსა ან შეჯიბრებაზე იფიქრონ, ისაუბრონ, თავკაცობამ მეტოქის თამაში გააანალიზოს, ფეხბურთელებმა დარიგებები მიიღონ. გამონაკლისი თითქოსდა არც ეს შემთხვევა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოხდა ის, რასაც, კაცმა რომ თქვას, ინგლისელები ელოდნენ კიდეც — მოთამაშეები და მწვრთნელები, რა თქმა უნდა, გლენ ჰოდლიც ერთად დასხდნენ და ამ უკანასკნელის წიგნზე ბჭობა გამართეს.



გლენ ჰოდლი: გააჩუმეთ ეგ ხალხი!

ინფორმაციისთვის: გლენ ჰოდლმა, ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა დაწერა წიგნი — „მოთხრობა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე“. იგი დღის სინათლეს ხვალ, 20 აგვისტოს იხილავს, მანამდე კი ბულვარულმა ინგლისურმა გაზეთმა „სანმა“ 200 ათასი გირვანქა გადაიხადა, რათა წიგნის რამდენიმე თავის გამოქვეყნების ექსკლუზიური უფლება მიეღო. „სანში“ დაბეჭდილ რამდენიმე ნაწილს უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. ავტორს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა ყველამ, ვისაც კი მეტ-ნაკლებად რაიმე ეთქმოდა ინგლისურ ფეხბურთში, თუმცა შერისხული ჰოდლის მხარდამჭერნიც გამოუჩნდნენ. ამაზე ქვემოთ, მანამდე კი:

— რაც მოხდა, მოხდა. ვერაფერს შევცვლით, მაგრამ მე თუ მკითხავთ, გესქოინის ამბავის გამომზეურება კარგი არ იყო. ჩემი აზრით, ასეთი ამბები ჩვენშივე უნდა რჩებოდეს. ადამიანთა ცხოვრებაში არის შემთხვევები, რომელთა გასაიდუმლოება სავალდებულოც კია. გესქოინის ამბავი, ვერ ვიტყვი, საიდუმლოა-მეთქი, მაგრამ არც საქვეყნოდ გასაცხადებელია. იმედია, ეს შემთხვევა პირველი და უკანასკნელი იქნება — ბიშემ ებიში შეკრებილი ნაკრების ფეხბურთელთაგან „ლივერპულის“ კაპიტანმა პოლ ინსმა ერთ-ერთმა პირველმა გაუკეთა კომენტარი ჰოდლის წიგნს. რამდენიმე სხვა ფეხბურთელმაც დასძინა, ის უსიამოვნებები, რაც შეკრებებზე ხდება, უმჯობესია არ გახმაურდესო.

უამრავმა ბრიტანელმა საფეხბურთო მოღვაწემ, მათ შორის გარი ლინეკერმა, ალექს ფერგიუსონმა, გორდონ ტეილორმა აკრიტიკა ჰოდლი ტელევიზიის თუ პრესის საშუალებით. ერთი სიტყვით, ინგლისის საიუბილეო, მე-100 ჩემპიონატის დაწყება კინაღამ დაჩრდილა გლენ ჰოდლის წიგნის ამბავმა.

— გაოცებული ვარ. მართალი გითხრათ, არ მოველოდი თუ გლენი ამას მოიმოქმედებდა. არა, მას სიავე არ ჩაუდენია, უბრალოდ, ასეთ ამბებს თუ სააშკარაოზე გამოიტანდა, არ მეგონა. ჩემი აზრით, ეს სისულელეა. ფეხბურთელებთან პირადი საუბრები მათ შორის უნდა რჩებოდეს — განაცხადა ინგლისის ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატის ოქროს ბუცის მფლობელმა გარი ლინეკერმა.

დაახლოებით იგივე აზრისა გახლდათ ბევრი საკმაოდ ცნობილი პიროვნება, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, შერისხულს მხარდამჭერნიც აღმოუჩნდნენ. ყველა ერთ აზრზე ვერ იქნებოდა და მართლაც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დირექტორმა საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში, დევიდ დევისმა ძველ და ახლადგამოჩეკილ კრიტიკოსებს ამგვარად უპასუხა:

— საინტერესოა, რომელ პირად საუბრებზეა ლაპარაკი? ის, რაც გესქოინს 1 ივნისს განუცხადა გლენ ჰოდლმა (პოლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არწაყვანა ჰქონდა დევისს მხედველობაში), მეორე დილით, ანუ 2-ში მთელმა სამყარომ გაიგო. განა შეიძლება, ამის გულისთვის მწვრთნელს მიუვარდე და ავეჯი დაულეწო? გესქოინი ღირსი იყო მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩენილიყო და ასეც მოხდა. მე გლენის მოქმედებას დადებითად ვაფასებ. საჭიროა ხალხმა გაიგოს, ვინ თამაშობს ჩვენს ნაკრებში. ინგლისის უპირველეს გუნდში ვაჟკაცები, ჯენტლმენები უნდა იყვნენ და არა ფლიდი და ცრუ პიროვნებები.

სხვათა შორის, დევისს ბევრი წიგნის თანაავტორობასაც აბრალებს. სიმართლე გაირკვევა, მაგრამ გამორიცხული რომ არაფერია, ესეც გასათვალისწინებელია.

მოგვიანებით დევისმა ისიც თქვა, 1986 და 1990 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების შემდეგ ჩვენი ნაკრების მწვრთნელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მოგონებების წიგნი დაეწერათ, მაგრამ შემდეგ რატომღაც გადაიფიქრებდნენ-ხოლმე, ახლა კი კაცმა გადადგა ნაბიჯი და ბევრმა იგი სასტიკად შეაჩვენაო. „ასე არ შეიძლება. დრო გვაჩვენებს კარგს და ცუდს, მაგრამ მეეჭვება გლენ ჰოდლის წიგნი ცუდად აღიარონ“ — თქვა დევისმა.

მალე ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი იწყება. არაა გამორიცხული, ნაკრებში არეულობამ შედეგებზეც იმოქმედოს. ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს გრემ კელის სწორედ ეს ანაღვლებს და არა მწვრთნელის წიგნი:

— ინგლისს უდავოდ ძლიერი ნაკრები ჰყავს. ფეხბურთელებიც ნიჭიერნი არიან. გარწმუნებთ, თუ საქმეს სწორედ წარვმართავთ, ჩვენ ძალგვიძს, მოვიგოთ კონტინენტის პირველობა, საქმისადმი ზერელედ მიდგომის შემთხვევაში კი არაა გამორიცხული, გუნდი ტურნირს მიღმა დარჩეს. ახლა ჩვენ გაცხარებული უნდა ვმუშაობდეთ, ამ დროს კი რას ვაკეთებთ? — შედარებით მეორეხარისხოვან თემას ვაზვიადებთ და დაუსრულებლად ვდაობთ. დროა გუნდს მივხედოთ!

შესარჩევი ტურნირი მართლაც მალე დაიწყება. შიდა არეულობას კი ინგლისისთვის კი არა, ბევრი სხვა გუნდისთვისაც უვნია.

ხვალ გლენ ჰოდლის წიგნის პრეზენტაციაა, წიგნისა, რომელმაც გამოსვლამდე ჰპოვა უდიდესი გამოხმაურება. თავის დროზე ამგვარი ხმაურით შეხვდნენ ცნობილი გერმანელი მეკარის, ჰარალდ ტონი შუმახერის წიგნს — „სასტვენი“. მას გვარიანი კრიტიკა ხვდა წილად. ლამის იყო, საქმე სასამართლომდეც მივიდა. მიზეზი წიგნში ასახული ბუნდესლიგური რეალობა გახლდათ. ახლა ჰოდლისაც ერთი ამბავი დაატეხეს თავს. ეტყობა, სიმართლე ბევრს არ სიამოვნებს.

**ლაშა გოდუაძე**



ამ სურათზე ჩილელი ფოტომოდელი დანიელა კამპოსია გამოსახული, რომელმაც ქვეყნის ლამაზმანთა კონკურსში პირველობა არავის დაუთმო და „მის ჩილე 98“ გახდა. სწორედ ამიტომ, იგი მომავალ „მის მსოფლიოზე“ თავის ქვეყანას წარმოადგენს. ჩვენს გაზეთში კი დანიელა იმიტომ მოხვდა, რომ ჩილეს ნაკრებისა და მილანის „ინტერის“ თავდამსხმელ ივან სამორანოსთან არცთუ გულგრილი ურთიერთობები აკავშირებს

**ინგლისელმა** ტონი ადამსმა შესაძლოა, სეზონის ბოლოს ფეხბურთელის კარიერა დაასრულოს, რადგან მისი საქმე უკვე ისეა, რომ მოედანზე სამოძრაოდ უამრავ წამალს ყლაპავს. 31 წლის ყოფილი ლოთის ინტერვიუში, გაზეთ „ივნინგ სტანდარდს“ რომ მისცა, იგი ამბობს, რომ კოჭის გამუდმებულ ტკივილს იგი ყოველი შეხვედრის წინ გამაყუჩებელი აბებით ებრძვის და შიშობს, ამდენი მედიკამენტის ყლაპვამ სხვა რამეზე არ იმოქმედოს. „სიამოვნებით ვითამაშებდი კიდევ ორიოდ სეზონის განმავლობაში, მაგრამ ვიცი, რომ აბების მუდმივმა სმამ შეიძლება სხვა ეფექტი მომცეს“ — თქვა ადამსმა.

**იტალიური სერია A-ს კლუბმა „ემპოლიმ“ თანამდებობიდან გაათავისუფლა მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი, რომელიც ერთი თვის წინ დაიქირავა. ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ ბრძანება თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ დაუყოვნებლივ ძალაში შევიდა, თუმცა ასეთი კატეგორიული გადაწყვეტილების მიზეზი არ დაუსახელებიათ. დელ ნერი ადრე „ტერნანას“ ედგა სათავეში და ეს გუნდი სერია C-დან სერია B-ში აიყვანა. რაც შეეხება მის მოღვაწეობას „ემპოლში“, მან იგი 13 ამხანაგურ შეხვედრაში ათამაშა და მათგან მხოლოდ ოთხში დამარცხდა.**

**ფრანგმა** ერიკ კანტონამ, მოგეხსენებათ, მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ 1958 წლის ავიაკატასტროფისადმი მიძღვნილ მემუარულ შეხვედრაში უნდა მიიღოს მონაწილეობა. მას, შეხვედრის ორგანიზატორთათვის მიკროფონი უთხოვია, თამაშის წინ საზოგადოებას უნდა მივმართოო. როგორც იცით, ფრანგი თავდასხმელი „იუნაიტედის“ ლეგენდადაა ქცეული. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელობას თავი სულ ერთი წლის წინ დაანება. საქველმოქმედო მატჩში მონაწილე ერთი გუნდი კანტონას რჩეულთა ნაკრები უნდა იყოს. როგორც ცნობილია, მის შემადგენლობაში ითამაშებენ ბრაიან რობსონი, პოლ ინსი, ანდრეი კანჩელსკისი, მარკ ჰიუზი, დევიდ ბეტი, გარი მაკალისტერი, გარი სპიდი და საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფორვარდი ჟან პიერ პაპენი. ცნობისთვის: ეს შეხვედრა გაზაფხულზე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ კანტონა ფილმის გადასაღებად მექსიკას გაემგზავრა და ამიტომ გადაიდო.

**რუსი სერგეი იურანი, რომელიც გერმანულ „ბოხუმში“ თამაშობს, დაჯარიმებულია, რადგან კლუბის ნებართვის გარეშე დატოვა ბანაკი და სავარჯიშოდ რუსეთის ნაკრების ბაზაზე გადაინაცვლა. „ბოხუმის“ პრეზიდენტის ვერნერ ალტეგოერის განცხადებით, 29 წლის ფეხბურთელმა არავის შეატყობინა, რომ მოსკოვში წასვლას აპირებდა. ეჭვი აქვთ, რომ იურანი ბუნდესლიგის პირველ შეხვედრაში „ფრაიბურგის“ წინააღმდეგ რომ არ ათამაშეს და ამან გააბრაზა. იმ შეხვედრაში „ბოხუმმა“ 1:2 წააგო.**

**ირანელი** მეჰდი მაჰდავიკია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე აშშ-ის ნაკრებს გოლი გაუტანა და ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში შევიდა, ავტოავარიაში დაშავდა. გაზეთ „ჰამშაჰრის“ თქმით, მაჰდავიკიამ კასპიის ზღვის სანაპიროზე მანქანა ხეს დაახეთქა და შუბლი დაიზიანა. მასთან ერთად საავადმყოფოში მიიყვანეს მისი მეუღლეც.

**ნიგერიაში გაისად იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გაიმართოს, ამიტომ ქვეყანას ეწვია ფიფას საგანგებო ინსპექცია, რომელიც სტადიონებს შეამოწმებს. 1995 წელს ასეთმავე კომისიამ, ასეთივე შეჯიბრება ფიფას კატარში გადაატანინა, რადგან შენიშნა, რომ ნიგერიაში სტუმართა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფდა. ახლანდელი კომისია უკვე მეორეა. პირველი, დასავლეთ აფრიკის ამ სახელმწიფოს შარშან ნოემბერში ეწვია.**

**გერმანელ** გოლკიპერს, ანდრეას კეპკეს მარსელის „ოლიმპიკში“ კონკურენტი გამოუჩნდა — სტეფან პორატო. პორატო „მარსელში“ „მონაკოდან“ გადავიდა, სადაც საფრანგეთის ნაკრების მთავარი გოლკიპერის ფაბიენ ბარტეზის შემცვლელი გახლდათ. მოგეხსენებათ, ამ ქვეყანაში ჩემპიონატი ორი ტურის დაწყებულია. პირველ შეხვედ-

ფეხბურთის [illegible]



რაში „ნანტის“ წინააღმდეგ კარი კეპკემ დაიცვა („მარსელმა“ მოიგო 2:0), მეორეში — პორატომ („მარსელმა“ მოიგო 1:0). „ამას ვერ შევეგუები, რადგან დარღვეულია სპორტული სამართლიანობა. მე ხომ „ნანტთან“ კარგად ვითამაშე და არ მესმის, რატომ უნდა გაეყვანა მეორე მატჩში მწვრთნელს სხვა გოლკიპერი“ — აღშფოთდა კეპკე, მაგრამ დასძინა, რომ ახლა „მონპელიესთან“ სათამაშოდ ემზადება.

**ხორვატი დავორ შუკერი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე 6 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა, 28 აგვისტოს ევროპის სუპერთასზე ვერ ითამაშებს. მოგეხსენებათ, ამ შეხვედრაში მისი „რეალი“ ლონდონის „ჩელსის“ უნდა შეხვდეს, მაგრამ მუხლნატკენი შუკერის გარეშე. ხორვატი ვარჯიშზე დაშავდა და დაახლოებით ორ კვირას იმკურნალებს. მადრიდელთა შემადგენლობაში საეჭვოა არგენტინელი ფერნანდო რედონდოს გამოსვლაც. მანაც მუხლი დაიზიანა, ოღონდ ვარჯიშზე კი არა, „ატლეტიკოსთან“ ამხანაგური შეხვედრის დროს.**

**ჩრდილო ირლანდიის** ნაკრების ამხანაგური შეხვედრა მალტასთან, რომელიც ხვალ უნდა გამართულიყო, გადაიდო. გაუქმდა ახალგაზრდული გუნდების თამაშიც. მიზეზი: პროვინციულ ქალაქ ომაფში ტერორისტების ბომბმა 28 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

**გერმანიაში ნახევარმცველი დირკ ფლოკი მეორე ბუნდესლიგის „გიუტერსლოდან“ ბუნდესლიგის „ვერდერში“ გადავიდა. 26 წლის ფეხბურთელში ბრემენელებმა 664 ათასი დოლარი გადაიხადეს და მასთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმეს.**

**ავსტრიელთა** ვეტერანმა მეკარემ მიხაელ კონსელმა განაცხადა, რომ ნაკრებში თამაშს თავს დაანებებს საფრანგეთთან ამხანაგური შეხვედრის შემდეგ. კონსელს ეროვნულ გუნდში 42 შეხვედრა აქვს ჩატარებული. „ამ გადაწყვეტილებაზე ძალიან დიდხანს ვიფიქრე და ვგონებ, სწორად განვსაჯე. ძალიან ბევრი ვისაუბრე ნაკრების მწვრთნელთან, ჰერბერტ პროჰაზკასთანაც. საბოლოოდ ამას ვამბობ, თუ პროჰაზკას დავჭირდები, შეიძლება დავბრუნდე კიდეც“ — თქვა კონსელმა. მოკლედ, იგი იმავე მდგომარეობაშია, როგორშიც თავდამსხმელი ტონი პოლსტერი. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ პოლსტერს ეს ნაბიჯი თავად არ გადაუდგამს, პროჰაზკამ გადაადგმევინა. ამგვარად, ამიერიდან მიხაელ კონსელი მხოლოდ იტალიურ „რომაში“ უნდა მოვიკითხოთ, სადაც 2001 წლამდე აქვს კონტრაქტი დადებული. „სპორტიდან წასვლას კი ჯერ არ ვჩქარობ“ — დასძინა მეკარემ, რომელსაც ნაკრებში გერმანული „შტუტგარტის“ კარის მცველი ფრანც ვოლფარტი შეცვლის.

**ბრაზილიელი პაულუ რინკი შეიძლება გერმანიის ნაკრების მოთამაშე გახდეს. ლევერკუზენის „ბაიერის“ ამ ფეხბურთელის შესახებ გერმანიის საფეხბურთო კავშირმა განაცხადა, რომ იგი დაინტერესებულია მისი გადაბირებით. რინკი „ბაიერში“ გასულ წელს ბრაზილიური „ატლეტიკო პარანაენსედან“ გადავიდა. როგორც გაირკვა, ბაბუამისის მამა გერმანელი ყოფილა და ევროპიდან სამხრეთ ამერიკაში 1908 წელს გადაბარგებულა. გასულ თებერვალში რინკმა გერმანიის მოქალაქეობა მიიღო. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა რინკის გადაბირებასთან დაკავშირებით ბრაზილიის ანალოგიურ ორგანიზაციას ოფიციალურადაც კი მიმართა.**

**ჰოლანდიელი** ვარსკვლავყოფილი რუუდ გულიტი, რომელიც ლონდონურ „ჩელსის“ ედგა სათავეში, თურმე სამხრეთ აფრიკის ნაკრების გაწვრთნას აპირებს. მისმა აგენტმა, ჯონ სმიტმა განაცხადა, რომ გულიტი ერთობ დაინტერესებულია აფრიკელთა წინადადებით.

# ვინ არის მართალი?



REUTERS ტურინიდან

ზემანისგან შერისხული ვიალი ჟურნალისტებთან საუბრისგან თავს იკავებს. ისე კი ხმები დაირხა, ჩეხი მწვრთნელისთვის ჩივილს აპირებსო

იტალიაში სკანდალი გრძელდება. შეგახსენებთ, რომ საფეხბურთო კლუბ „AC რომას" მთავარმა მწვრთნელმა, ჩეხმა სპეციალისტმა, ზდენეკ ზემანმა ზოგიერთ ფეხბურთელს, განსაკუთრებით კი „იუვენტუსის" ყოფილ კაპიტან ჯანლუკა ვიალის და ამჟამინდელ ლიდერ ალესანდრო დელ პიეროს აკრძალული პრეპარატების მიღებაში დასდო ბრალი. ამის ეჭვი ზემანს თურმე მათმა ზედმეტად დაბერილმა კუნთებმა აღუძრა. საჯარო გამოსვლამაც არ დააყოვნა და ჩეხმა მწვრთნელმა გაზეთ „ლ'ესპრესოს" მეშვეობით მთელ ქვეყანას აცნობა ეს სკანდალური ამბავი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მბრალდებელმაც და ბრალდებულებმაც თავიანთი აზრი და პოზიცია სახალხოდ გამოხატეს, ხან იმუქრებოდნენ, ხანაც სიმართლის დამტკიცებას წყნარად, ყოველგვარი ვნებათაღელვის გარეშე ცდილობდნენ. ერთ-ერთ ინტერვიუში ვიალიმ ისიც განაცხადა, კიდევ კარგი, ინგლისში ვარ, თორემ ზემანს ცხვირპირს დავუნაყავდიო. და აი, ლონდონური „ჩელსის" მოთამაშე-მწვრთნელი სამშობლოში, კერძოდ ქალაქ ტურინში ჩავიდა, სადაც იგი ოთხი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და იქაური „იუვენტუსის" ღირსებას იცავდა. მართალია, ვიალის ზემანი ჯერ არ გაულახავს, მაგრამ სასამართლოში იმყოფებოდა და ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენებებს იძლეოდა. დაკითხვის დასრულების შემდეგ დარბაზიდან გამოსულს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია, მხოლოდ განაცხადა, ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შემიძლია, ისე კი ყველაფერი მშვენივრად მიდისო, რასაც მისი მანქანაში ჩაჯდომა და გაუჩინარება მოჰყვა. მიუხედავად ფეხბურთელის ასეთი სიტყვაძუნწობისა, ადგილობრივ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვიალი ზემანის წინააღმდეგ საქმის აღძვრას აპირებს.

ტურინის სასამართლოში „იუვენტუსის" მეორე მოთამაშე, ალესანდრო დელ პიეროც დაიკითხა. პროკურორ რაფაელე გუარინიელოს ძირითადი მიზანი ის ყოფილა, რომ გაარკვიოს, ზემანის მიერ აღნიშნული პრეპარატები რამდენად მავნეა ჯანმრთელობისთვის.

ამ საქმის განხილვა იტალიის დედაქალაქშიც მიმდინარეობს, სადაც ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის (CONI) ანტისადოპინგო კომისია 27 ივლისიდან კლუბებისა და ეროვნული ნაკრების ოფიციალური წარმომადგენლების, აგრეთვე ექიმებისა და ფეხბურთელთა ჩვენებებს იღებს. ეს კომისია „სკუადრა აძურას" ექიმის, პაოლო ძეპილის დაკითხვასაც აპირებს. სხვათა შორის, მან უკვე მისცა ჩვენება ქალაქ ბოლონიის სასამართლოში, სადაც ძირითადად იმას იკვლევენ, არის თუ არა რაიმე კავშირი ფარმაცევტულ ცენტრებსა და ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ წარმომადგენელთა შორის. აქ უკვე დაიკითხა „ბოლონიისა" და იტალიის ნაკრების კალათბურთელი, გრეგორ ფუჩკა. არსებობს ვარაუდი, რომ იგი აკრძალულ მედიკამენტებს ღებულობს, თუმცა ამბობენ, ამას იმიტომ აკეთებს, რომ ზოგიერთ საკვებზე ალერგია აქვსო. რაც შეეხება ძეპილის, მოსამართლეებთან საუბრის შემდეგ მან ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა: „დაახლოებით ერთი საათი ვაძლევდი ჩვენებებს. ყველა დეტალი, რომელიც საჭირო იყო ფარმაცევტულ ცენტრებსა და ფედერაციას შორის ურთიერთობაში მეტი სიცხადის შესატანად, შეძლებისდაგვარად გამოვააშკარავე. დოპინგზე არაფერი გვითქვამს. საერთოდ, არსებულ პრობლემაზე ოლიმპიური კომიტეტის ანტისადოპინგო კომისიასთან მომავალში ვისაუბრებ და ყველაფერს, რასაც ვფიქრობ, სწორედ მაშინ ვიტყვი".

რომის „ლაციოს" მთავარი მწვრთნელი, შვედი სვენ გორან ერიქსონი და კლუბის დირექტორი ჯულიო ველასკო დღეს წარსდგებიან ზემოაღნიშნული კომისიის წინაშე. სააგენტო ANSA-ს ცნობით, იტალიის ოლიმპიური კომიტეტი მოლაპარაკებებს აწარმოებს ლონდონის „ჩელსის" ხელმძღვანელობასთან კლუბის იტალიელი ლეგიონერების — პიერლუიჯი კაზირაგის, რობერტო დი მატეოს და ჯანფრანკო ძოლას შესაძლო დაკითხვის თაობაზე.

**დავით ძოგზირიძე**

# ლუქსემბურგოს პირველი პრობლემა



რობერტო კარლოსი

ბრაზილიის ნაკრებისა და ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებულის მადრიდის „რეალის" მარცხენა მცველმა, მსოფლიოს ნომერ მეორე ფეხბურთელმა რობერტო კარლოსმა გუშინ სენსაციური განცხადება გააკეთა. ფეხბურთელის თქმით, იგი ეროვნულ ნაკრებში თამაშს აღარ აპირებს. ამის მიზეზი ბრაზილიელთა ახალდანიშნული თავკაცი, 46 წლის ვანდერლეი ლუქსემბურგო ყოფილა. მათ შორის შავმა კატამ ჯერ კიდევ მაშინ გადაირბინა, როდესაც რობერტო კარლოსი ბრაზილიური „პალმეირასის" ღირსებას იცავდა, ხოლო ლუქსემბურგო ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე იმყოფებოდა. ჯერჯერობით, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა დამრიგებლის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით უცნობია.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ლიგის თასის პირველი რაუნდი

19 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| მანჩესტერ სიტი — ნოთს ქაუნთი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| მილუოლი — ბირმინგემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ქუინზ პარკი — უოლსოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### შოტლანდიის ლიგის თასი

19 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰართსი — რეით როვერსი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| როს ქაუნთი — დანდი იუნაიტედი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| აირდსი — სელტიკი | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| ჰიბერნიანი — აბერდინი | 2,7 | 2,9 | 2,3 |

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

19 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოსნია — ფარერები | 1,05 | 8,0 | 14,0 |

### ამხანაგური მატჩები

19 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ავსტრია — საფრანგეთი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| შვედეთი — რუსეთი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| უნგრეთი — სლოვენია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ჩეხეთი — დანია | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ნორვეგია — რუმინეთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სლოვაკეთი — ფინეთი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ჩრ. ირლანდია — მალტა | 1,1 | 6,0 | 12,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| ჰამბურგი — ბოხუმი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ჰანზა — ვოლფსბურგი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 22 აგვისტო | | | |
| დორტმუნდი — ჰერტა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ვერდერი — ნიურნბერგი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| შალკე — შტუტგარტი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| აინტრახტი — მიუნხენ 1860 | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ბაიერნი — დუისბურგი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,7 |
| ფრაიბურგი — ლევერკუზენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 23 აგვისტო | | | |
| კაიზერსლაუტერნი — გლადბახი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

### გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა. V ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| ულმი — უნტერჰახინგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| მაინცი — კიოლნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ურდინგენი — კიკერსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 23 აგვისტო | | | |
| ობერჰაუზენი — ვატენშაიდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გიუტერსლო — ჰანოვერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ფორტუნა — ფიურტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 24 აგვისტო | | | |
| ზანქტ პაული — არმინია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კოტბუსი — კარლსრუე | 2,2 | 3,0 | 2,9 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ჩარლტონი — საუთჰემპტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ჩელსი — ნიუკასლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| დერბი — უიმბლდონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლესტერი — ევერტონი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლივერპული — არსენალი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ნოტინგემი — ქოვენთრი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ტოტენჰემი — შეფილდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ვესტ ჰემი— მანჩესტერი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 23 აგვისტო | | | |
| ასტონ ვილა — მიდლსბრო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 24 აგვისტო | | | |
| ლიდსი — ბლექბერნი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| ბარნსლი — სტოკპორტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 22 აგვისტო | | | |
| ბრისტოლი — უოტფორდი | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| ბერი — ქრიუ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კრისტალ პალასი — ოქსფორდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| გრიმსბი — ჰადერსფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ნორვიჩი — ქუინზ პარკი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| პორტ ვეილი — ვესტ ბრომვიჩი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| პორტსმუთი — იფსვიჩი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| შეფილდი — ბირმინგემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სანდერლენდი — ტრანმერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვულვერჰემპტონი — სვინდონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 23 აგვისტო | | | |
| ბრედფორდი — ბოლტონი | 3,1 | 3,0 | 2,1 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. III ტური

21-22 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| სოშო — ლანსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| რენი — ლე ავრი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| მარსელი — მონპელიე | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბასტია — მეცი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბორდო — ოსერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| სტრასბური — პსჟ | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ტულუზი — მონაკო | 4,0 | 3,1 | 1,5 |
| ლორანი — ლიონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ნანსი — ნანტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| ბენფიკა — ამადორა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ბრაგა — ბეირა მარი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| 22 აგვისტო | | | |
| პორტუ — რიუ ავე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23 აგვისტო | | | |
| ლეცა — აკადემიკა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| სალგეირუში — ფარენსე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ლეირია — მარიტიმუ | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბოავიშტა — გიმარაეში | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კამპომაიორენსე — ალვერია | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 24 აგვისტო | | | |
| სეტუბალი — სპორტინგი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XXII ტური

22 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| როსტსელმაში — ზენიტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჩერნომორეცი — ლოკომოტივი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| შინიკი — დინამო | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| როტორი — ჟემჩუჟინა | 1,4 | 3,5 | 4,2 |
| ტორპედო — ალანია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ცსკა — ურალანი | 1,7 | 3,1 | 3,8 |
| სპარტაკი — კრილია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ტიუმენი — ბალტიკა | 6,0 | 3,6 | 1,4 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 20 აგვისტო | | | |
| ჰერენვენი — ტვენტე | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| 21 აგვისტო | | | |
| სიტარდი — ფეიენოორდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 22 აგვისტო | | | |
| ვიტესი — როდა | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| მაასტრიხტი — გრააფსხაპი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| კამბური — ეინდჰოვენი | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| აზ 67 — სპარტა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვალვაიკი — ნაიმეგენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 23 აგვისტო | | | |
| ბრედა — უტრეხტი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| აიაქსი — ტილბურგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი. I ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ოსტენდე — სტანდარდი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ეკერენი — ვესტერლო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| სენტ ტრუიდენი — მუსკრონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლომელი — ბევერენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ანდერლეხტი — შარლერუა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ლოკერენი — გენკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ლიერსი — გენტი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 23 აგვისტო | | | |
| ჰარელბეკი — კორტრაიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| აალსტი — ბრიუგე | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### თურქეთის ჩემპიონატი. III ტური

21-23 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| დარდანელი — გენჩლერბირლიგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| საქარია — ალთაი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ქარაბუქი — ისთანბული | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ბეშიქთაში — გაზიანთეფი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ტრაბზონი — ბურსა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| გალათასარაი — ქოჯაელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ადანა — ფენერბაჰჩე | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| ანკარაგიუჯიუ — ანთალია | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| სამსუნი — ერზურუმი | 1,5 | 3,5 | 5,3 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| სელტიკი — დანდი იუნაიტედი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,3 | 3,8 |
| ჰართსი — აბერდინი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| კილმარნოკი — რეინჯერსი | 4,7 | 3,3 | 1,6 |
| მოზერველი — დანფერმლაინი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 23 აგვისტო | | | |
| დანდი — სენტ ჯონსტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 21 აგვისტო | | | |
| გრასჰოპერი — სერვეტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ლოზანა — ციურიხი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 22 აგვისტო | | | |
| იანგ ბოიზი — არაუ | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ლუგანო — სიონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ქსამაქსი — ლუცერნი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 23 აგვისტო | | | |
| სენტ გალენი — ბაზელი | 1,6 | 3,1 | 5,3 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

მძლეოსნობა

დასაწყისი პირველ გვერდზე

# ბაგაჩი ველარ გაძარცვეს

ჩვენმა ათლეტებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. რუსიძემ და შანიძემ 100 მეტრზე თავიანთ გარბენებში რვა მონაწილეს შორის მერვე ადგილები დაიკავეს. თანაც რა შედეგებით! თუკი რუსლანის მაჩვენებელი ასე თუ ისე ასატანი გახლდათ (მან 46 მონაწილეს შორის 10.95 წამით ბოლოსწინა ადგილი დაიკავა და მხოლოდ 11.04 წამის მაჩვენებელ ლიხტენშტაინელ მარტინ ფრიკს აჯობა), შანიძემ საერთოდ სამინლად იასპარეზა. ფინალურ ეტაპზე გასვლა კი არა, 30 მონაწილე ქალს შორის მის მიერ ნაჩვენები დრო 12.04 წამი უარესი იყო და თანაც თამარი ერთადერთი გახლდათ, ვინაც 100-მეტრიანი დისტანციის დაფარვას მთელი თორმეტი (!) წამი მოანდომა.

მოკლედ, ქართველებმა ვერც ამჯერად გაგვახარეს. თუმცა იმედი ვიქონიოთ, ჩვენი ათლეტები როდესმე მაინც მიაღწევენ იმ დონეს, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების განხილვა მათ წარმატებებზე საუბრით დავიწყოთ.

ახლა გუშინ განვითარებულ მთავარ მოვლენებს დავუბრუნდეთ, რომლებმაც არაერთი საინტერესო წუთი აჩუქა მრავალრიცხოვან გულშემატკივარს.

პირველი ოქროს მედალი 20 კილომეტრზე სპორტულად მოარულეებმა გაითამაშეს და როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება წინა ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს რუს ილია მარკოვს დარჩა. საერთოდ, ამ სახეობაში რუსებს ყოველთვის საუკეთესონი ჰყავთ და ნებისმიერ ტურნირზე ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატებადაც ითვლებიან. მარკოვის უპირატესობაზე მისი შედეგი 1 საათი, 21 წუთი და 25 წამი მეტყველებს. რუსი მთელი დისტანციის მანძილზე აკონტროლებდა სიტუაციას და საბოლოოდ მეორე ადგილზე გასულ ლატვიელ აიგარს ფადეევსს 15 წამით აჯობა. მესამემ ფინიშის ხაზი ესპანელმა ფრანსისკო ფერნანდესმა გადაკვეთა.

„დღეს უმძიმესი ბრძოლის გადატანა მომიხდა. არ ველოდი, თუ ფადეევსი ასეთ წინააღმდეგობას გამიწევდა“ — განაცხადა გახარებულმა მარკოვმა ძნელი დისტანციის დაფარვის შემდეგ.

ფადეევსმა, რომელმაც ლატვიას 1934 წლის შემდეგ პარველი მედალი მოუპოვა, ასე შეაფასა გარბენი: „მაღალმა ნესტიანობამ წარმატებით გამოსვლის საშუალება არ მომცა. სამწუხაროა, რომ პირველი ადგილის მოპოვება მხოლოდ რთული გარემე პირობების გამო ვერ შევძელი.“

უაღრესად საინტერესო ბრძოლა გამართეს ბირთვის მკვრელმა ვაჟებმა. უნგრეთში აშკარა ფავორიტად უკრაინელი ალექსანდრ ბაგაჩი ითვლებოდა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მთელი წლევანდელი სეზონის მანძილზე გერმანელი ოლივერ-სვენ ბუდერიც საუკეთესო ფორმაში იმყოფებოდა და ბუდაპეშტში არაფრის დათმობას აპირებდა.



REUTERS ბუდაპეშტიდან

20 კილომეტრზე სიარულში რუსმა ილია მარკოვმა ივარგა

თანაც იყო ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც უკრაინელ გოლიათს მძიმე ტვირთად აწვა. ბაგაჩი ხომ შარშან საბერძნეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე აკრძალული პრეპარატის — ეფედრინის ხმარებაში ამხილეს და მოპოვებული ოქროს მედალი ჩამოართვეს.

ამ შემთხვევის შემდეგ ბაგაჩს ერთი პერიოდი ასპარეზობებიდან მოკვეთა ემუქრებოდა, მაგრამ მოყვარულ ათლეტთა საერთაშორისო ფედერაციის წესდებაში შექმნილი გაუგებრობით ისარგებლა და დისკვალიფიკაცია თავიდან აიცილა. წელს სპორტსმენს თავისი სიძლიერის დამტკიცება სურდა და ამიტომ გაორმაგებული ენერგიით შეუდგა საქმეს. ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო ტურნირში საუკეთესო ცდის (20,47 მეტრი) შესრულების შემდეგ ცხადი გახდა, რომ უკრაინელს ძნელად თუ ჯობდა ვინმე. მართლაც ფინალურ ეტაპზე საუკეთესო 12 ბირთვის მკვრელს შორის მოხვედრილი სამი ფინელი, ორი გერმანელი და სხვა ძლიერი სპორტსმენებიდან ყოფილ საბჭოელს სათანადო წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. ის კი არა, ბაგაჩი ერთადერთი იყო, ვინც ბირთვი 21 მეტრიან ზღვარს იქით ტყორცნა (21,17 მეტრი).

რომ ნახა, თავს ზემოთ ძალა არ არისო, გერმანელმა ბუდერმა ხელი ჩაიქნია და საერთოდ უმედლოდ დარჩენას ისევ მეორე ადგილისთვის ბრძოლა არჩია, რაც სხვათა შორის, ურიგოდ არ გამოსვლია. მან ბირთვი 20,98 მეტრზე ჰკრა და ექვსი სანტიმეტრით აჯობა უკრაინელთა სასიხარულოდ მესამე ადგილზე გასულ ბაგაჩის თანაგუნდელ იური ბელონოგს.

ბაგაჩმა გამარჯვება კი დაიბევა, მაგრამ ფინალური ეტაპის დაწყებამდე დატრიალბულმა მოვლენებმა მისი ოქროს მედლის ბედი შარშანდელივით ეჭვის ქვეშ დააყენა. საქმე ისაა, რომ საკვალიფიკაციო შეჯიბრის მოგების შემდეგ მავანმა ჩინოვნიკებმა უკრაინელს არასპორტული მეთოდების გამოყენებაში დასდეს ბრალი.

„მართალია, ყველას ერთი თავის ვჯობდი, მაგრამ პრობლემები მაინც შემექმნა. ჩემპიონატის ზოგიერთ ორგანიზატორს რატომღაც ეჭვი შეეპარა ჩემს სიმართლეში. თავიანთი მოსაზრების გასამართლებლად მათ ის საბაბი მოიყვანეს, თითქოს ასპარეზობისას მბრუნავი ეფექტის გასაუმჯობესებლად სპორტულ წინდებში სიმძიმეები მედო“ — განაცხადა 32 წლის ბაგაჩმა. თუმცა საბოლოოდ ყველაფერი მის სასიკეთოდ დასრულდა. ევროპის ათლეტთა ასოციაციამ სპორტსმენის გასამტყუნებელი ვერანაირი საბუთი ვერ მოიძია და ალექსანდრმაც სამართლიანად მოპოვებული მედალი შეინარჩუნა.

გახსნის დღეს მესამე ოქრო 10 ათას მეტრზე მორბენალ ვაჟებს შორის თამაშდებოდა. ორგანიზატორები შიშობდნენ, რომ მთელი დღის განმავლობაში მცხუნვარე მზისგან გახურებულ სარბენ ბილიკებზე სპორტსმენებს ამხელა დისტანციის დაფარვა უაღრესად გაუჭირდებოდათ. თუმცა, საღამო ხანს, აუტანელი გვალვა საამო ნიავმა შეცვალა და ყველამ შვებით ამოისუნთქა.

გარბენი ასე დაახლოებით მე-15 წრემდე მდორედ მიმდინარეობდა. მაგრამ შემდეგ პორტუგალიელმა ანტონიო პინტუმ დრო იხელთა, წინ გაიჭრა და გამარჯვებულის ვინაობა უკანასკნელ მეტრებამდე საეჭვო აღარ გაუხდია.

ეს რაც შეეხებოდა გუშინ ოფიციალურად გათამაშებულ მედლების სამ კომპლექტს. საკვალიფიკაციო ასპარეზობებზე კი უნდა ითქვას, რომ ამგვარი პაექრობები კიდევ რამდენიმე სახეობაში გაიმართა. 100 მეტრზე მორბენალმა ვაჟებმა და ქალებმა ორ-ორი საკვალიფიკაციო ეტაპი განვლეს და დღეს ნახევარფინალურ გარბენებს გამართავენ. ფინალური ტურნირის შემადგენლობა გაირკვა ასევე:

ვაჟთა შორის: უროს ტყორცნაში, სიგრძეზე ხტომაში, 1500 მეტრზე თავისუფალ და 400 მეტრზე თარჯრბენში.

ქალთა შორის: შუბის ტყორცნაში, ბირთვის კვრაში, ჭოკით ხტომასა და 800 მეტრზე სირბილში.

დღეს მრავალრიცხოვან საკვალიფიკაციო ასპარეზობასთან ერთად ექვს ოქროს მედალს გაითამაშებენ: ქალები 100 და 10 ათას მეტრზე სირბილში და შუბის ტყორცნაში; ვაჟები: 100 მეტრზე სირბილში, სიგრძეზე ხტომასა და უროს ტყორცნაში.

**ირაკლი ხმელიძე**

### ტექნიკური შედეგები

**სპორტული სიარული. 20 კმ. ვაჟები**

1. ილია მარკოვი (რუსეთი) 1 სთ. 21 წთ. 10 წმ; 2. აიგარს ფადეევსი (ლატვია) 1.21.25; 3. ფრანსისკო ფერნანდესი (ესპანეთი) 1.21.39

**ბირთვის კვრა. ვაჟები**

1. ალექსანდრ ბაგაჩი (უკრაინა) 21.17 მეტრი; 2. ოლივერ-სვენ ბუდერი (გერმანია) 20.98 მ; 3. იური ბელონოგი (უკრაინა) 20.92 მ

**სირბილი. 10 000 მ. ვაჟები**

1. ანტონიო პინტუ (პორტუგალია) 27 წთ. 48.62; 2. დიტერ ბაუმანი (გერმანია) 27:56.75; 3. სტეფან ფრანკე (გერმანია) 27:59.90

რაგბი

# ფრანგული გაწვევა გრძელდება

ჩვენი მორაგბეებით რომ ფრანგული კლუბები დაინტერესდნენ, ეს არაერთხელ გაუწყეთ. გუშინ კიდევ ერთხელ შევეხმიანეთ პარიზში მყოფ ჩვენი რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილს, რომელიც საფრანგეთში სწორედ ამ ტრანსფერებთან დაკავშირებით იმყოფება. მისგან შევიტყვეთ, რომ დიმა ობოლაძე უკვე ჩარიცხულა მესამე დივიზიონის კლუბ „რომში“. მისი ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილია და საჭოჭმანო აღარაფერია. საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი „ტულუზი“ გია რაფავათი დაინტერესებულა და როგორც რაგბის კავშირში მითხრეს, თუ თავად გია არ იტყვის უარს, მაშინ ისიც ჩარიცხულად შეიძლება ჩავთვალოთ. ქასაშვილის ცნობით კი ფრანგები რაფავას გასასინჯად იწვევენ. ცხადია, გიასთან დაკავშირებაც ვცადეთ, მაგრამ თბილისში არყოფნის გამო ეს ვერ მოვახერხეთ, ოჯახში კი მხოლოდ ის გვითხრეს, რომ ბევრი რამ „ბორჯღალოსანთა“ ფრანგი მწვრთნელის კლოდ სორელის თბილისში ჩამოსვლის მერე გაირკვევა. ეს კი 21 აგვისტოს მოხდებაო. „ტულუზსავე“ გამოუთქვამს მალხაზ ურჯუკაშვილის შემოწმების სურვილი, ოღონდ ახალგაზრდულ გუნდისთვის. მეორე დივიზიონის „რეველი“ ასევე შესამოწმებლად იწვევს მევლუდ მთიულიშვილსა და გია ჭელიძეს, საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი „პერპინიანი“ — ილო ზედგინიძეს, მეორედივიზიონელი „მიიონი“ — ზურა მჭედლიშვილს, მეოთხელიგელი „ბრივ შერანსონი“ — ირაკლი მოდებაძეს, ხოლო მესამელიგელი „ლუნელი“ — შოთა მოდებაძეს. შოთას თქმით, თუ არ გამოიძებნა უფრო ძლიერი კლუბი, მაშინ მესამე ლიგაში გადასვლას ისევ საქართველოში დარჩენა და აქ თამაში ურჩევნია.

ცხადია, გული გვწყდება, რომ ჩვენი უძლიერესი მორაგბეები არცთუ მოწინავე ფრანგულ კლუბებში მიდიან, მაგრამ ჩვენი გაჭირვებული ყოფის გამოისობით ეს ახლა ქართული სპორტის თანამდევი, ჩვეულებრივი მოვლენაა. ასე რომ, იმითღა უნდა ვინუგეშოთ თავი, რომ საფრანგეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სარაგბო ქვეყანაა და თუნდაც იქაურ ქვედა ლიგებში თამაში ეგებ სჯობდეს ჩვენს „ჭრიჭინით მავალ“ ჩემპიონატში მონაწილეობას.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

მონრეალი.
კანადის ღია პირველობა.
საპრიზო 926 250 $

# ანამ თითსაც უნდა გაუძლოს



REUTERS მონრეალიდან

ანა კურნიკოვა

ქალთა კანადური პირველობის პირველ დღეს, 17 აგვისტოს უმთავრესმა ფავორიტებმა შეისვენეს და კორტებზე მხოლოდ ხუთი განთესილი გამოვიდა. ამათგან თავი მხოლოდ მე-10 ნომრად განთესილმა შვეიცარიელმა პატი შნაიდერმა შეირცხვინა: 4:6, 3:6 დამარცხდა მასზე გაცილებით სუსტ არგენტინელ ფლორენსია ლაბატთან. ნირწამხდარმა შვეიცარიელმა თავი იმით იმართლა, პირველივე სეტში რაღაც უიღბლობით 1:5 რომ ჩამოვრჩი, მერე ძალები აღარ მეყოო.

გაიმარჯვა წლევანდელი უიმბლდონის ფრანგმა ფინალისტმა ნატალი ტოზიამ (11), თუმც ამისთვის მავან ამერიკელ სასიჩთან გვარიანი ოფლის ღვრა დასჭირდა: პირველ სეტში 4:6 მარცხის შემდეგ, შნაიდერისგან განსხვავებით, მდგომარეობა გამოასწორა და მომდევნო ორი 6:4, 6:2 მოიგო. ტოზიაზე ნაკლები რითი ვარო და, 17 წლის ტანფეხნაქებმა რუსმა ანა კურნიკოვამ (15) იოლად, 6:4, 6:2 დაჩაგრა ფრანგი ალექსანდრა ფუსაი. არადა, კურნიკოვა ორი თვე უქმად იყო უიმბლდონზე შტეფი გრაფთან შეხვედრისას მარჯვენა ცერა თითის დაშავების გამო. ტკივილს ახლაც ვგრძნობ — დაიჩივლა კურნიკოვამ — ამან შეიძლება რამდენიმე შეხვედრა გამომატოვებინოს კიდეცო. რამდენად გაუძლებს ანა თითის ტკივილს და შეძლებს თუ არა რაიმე წარმატების მიღწევას, ამას მალე გავიგებთ.

**დომინიკ ვან რუსტი (12, ბელგია) — ჟანა ნეიდლი (კანადა) 6:4, 6:2; აი სუგიამა (16, იაპონია) — ნატალი დეჩი (საფრანგეთი) 7:6, 7:5; ანკე ჰუბერი (გერმანია) — ვანესა უები (კანადა) 6:4, 6:1; სონია ჯიესილენი (კანადა) — ნიკოლ პრეტი (ავსტრალია) 7:5, 6:3; ტარა სნიდერი (აშშ) — ენი მილერი (აშშ) 7:5, 6:2; ემი ფრეზერი (აშშ) — ჟელი ჰერალდ-დეკუდისი (საფრანგეთი) 6:0, 5:7, 7:6; რუქსანა დრაგომირი (რუმინეთი) — ნაოკო სავამაცუ (იაპონია) 6:3, 7:6; კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) — ანი გელი სიდოტი (საფრანგეთი) 6:4, 6:3; იაუკი ბაზუკი (ინდონეზია) — ტაიგ ვანგი (ტაივანი) 6:3, 6:1.**

ინდიანაპოლისი.
საპრიზო 1 მილიონი $

ინდიანას შტატის დედაქალაქის ვაჟთა ტურნირი მარკ ფილიპუსისის იოლი გამარჯვებით დაიწყო. ამ ლამის ორმეტრიანმა ავსტრალიელმა თავისი განთქმული ეისებით თავიდანვე დააწიოკა სამხრეთაფრიკელი გრანტ სტეფორდი, სულ კი თამაშის ბოლოსთვის რვა ეისი მიითვალა თან ორი მატჩ-პოინტიც გადაარჩინა. საბოლოო ანგარიშია 6:3, 6:2. ასევე იოლად გაუსწორდა მე-9 ნომრად განთესილი ფრანგი სედრიკ პიოლინი თავის უცნობ მეტოქეს, ჩეხ მარტინ დემს 7:6, 6:2, მიუხედავად იმისა, რომ პირველი სეტის მოგებას საკმაო ძალა და ნერვები შეახარჯა. საერთოდ, 18 აგვისტოს ხუთი განთესილიდან მომდევნო წრეში ყველამ გააღწია, ამათგან კი ყველაზე დიდი ჭაპანწყვეტა ფელიქს მანტიას დაჭირდა: ესპანელმა ძლივს, 7:5, 6:5 მოუგო ამერიკელ ვინს სპადეას.

ტურნირის მილიონიანმა საპრიზო ფონდმა საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი. სხვა ბობოლებთან ერთად ტურნირში მონაწილეობს ჩილელი მარსელო რიოსიც, რომელმაც აგერ უკვე ერთი კვირაა, ამერიკელ პიტ სამპრასს გადაასწრო კლასიფიკაციაში და მსოფლიოს პირველი ჩოგანი წლეულს უკვე მეორედ გახდა. ჩილელი ტურნირში მეორე წრიდან ჩაერთვება და მისი მეტოქე იქნება ამერიკელი ბობ ბრაიანი, ვინაც მხოლოდ ორიოდე კვირის წინ გაპროფესიონალებულა.

**ფრანცისკო კლავეტი (13, ესპანეთი) — მარკ მერკლინი (აშშ) 6:3, 6:2; ტოდ მარტინი (15, აშშ) — უაიდ მაგუაირი (აშშ) 6:3, 6:4; ჰიშამ არაზი (მაროკო) — მარკუს ონდრუშკა (სამხეთი აფრიკა) 7:6, 6:2; რაიმონ დელგადო (პარაგვაი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:3, 6:2; ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) — ბენ ელვუდი (ავსტრალია) 6:2, 6:2; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — მიქაელ ტილსტრიომი (შვედეთი) 6:3, 6:4; სკოტ დრაიპერი (ავსტრალია) — ლორენს ტოლემენი (იტალია) 6:4, 6:7, 6:3; უეინ ბლექი (ზიმბაბვე) — ბერნდ კარბახერი (გერმანია) 6:1, 3:6, 7:6; ბობ ბრაიანი (აშშ) — სტივ კემპბელი (აშშ) 6:1, 0:6, 6:1.**

**ირაკლი ფირაშვილი**



სარბიელის არქივიდან

მარსელო რიოსი ისევ პირველია


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:** ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29